პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმომწერთა ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „[illegible]“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

პარასკევი, 26 ივნისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 144 (1299)

დღიური

— ლვოვში (პოლონეთი) გაიმართა საპროტესტო გაფიცვა უმუშევრობის წინააღმდეგ.

— რუსეთის სავაჭრო სინდიკატმა [illegible] გემი გამგა.

— იტალიის მთავრობამ ბოდიში მოუხადა ამერიკას ფაშისტების მიერ ამერიკის კონსულის გალახვის გამო,

— ლითონის მრეწველობის მუშები საფრანგეთში პირველ ივლისს საყოველთაო გაფიცვას აცხადებენ.

მეორე ინტერნაციონალის ახალი ოინები საქართველოს მშრომელთა წინააღმდეგ

როგორც გადმოგვცემს ლონდონიდან მიღებული ტელეგრამა, იქ შემდგარა ახალი საზოგადოება სახელწოდებით **„საქართველოს მეგობართა საზოგადოება“**, რომლის მიზანია თითქო ქართველი ემიგრანტების დასახმარებლად ფულის შეგროვება. იმავე წყაროდან ვტყობილობთ, რომ ეს ახალი საზოგადოება წარმოშობილა წინანდელი საზოგადოებიდან, რომელსაც ეწოდებოდა **„საქართველოს დახმარების კომიტეტი“** და რომლის მიზანს და დანიშნულებას შეადგენდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციის წარმოება. ახალ საზოგადოებას უკვე გამოუქვეყნებია მოწოდება ფულის შეგროვების შესახებ, რომელსაც სხვებთან ერთად ხელს აწერენ მეორე ინტერნაციონალის ცნობილი ბელადები **სნოუდენი და მაკდონალდი.**

როგორც ხედავთ, ეს ვაჟბატონები თავის მზრუნველობას არ გვაკლებენ. მაგრამ ჩვენი ვალია საქართველოს მშრომელთა წინაშე ამ ვაჟბატონებს, ამ არამკითხე მხსნელებს ნიღაბი ჩამოვხადოთ. ჩვენი ვალია ავუხსნათ და განვუმარტოთ ქართველ მუშებს და გლეხებს ამ ვაჟბატონების ნამდვილი განზრახვა, ვუთხრათ მათ, თუ რა იმალება „საქართველოს მეგობართა საზოგადოებაში“, რომელიც ლონდონში დაუარსებიათ მეორე ინტერნაციონალის გმირებს, მაკდონალდს, სნოუდენს და სხვებს.

მკითხველებს უნდა მოვაგონო, რომ ესენი სწორედ ის ვაჟბატონებია, რომლებიც მთელი 2—3 წლის განმავლობაში ხელს უწყობდენ საქართველოდან გადახვეწილ მენშევიკებს საქართველოში მშრომელი მასსა აეჯანყებიათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. იმ შავ, საზიზღარ და მუხანათურ მუშაობას, რომელიც სწარმოებდა საქართველოში ეგრედ წოდებული პარიტეტული კომიტეტის მიერ (იგივე „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“) და რომელშიაც მთავარ როლს თამაშობდენ ქართველი მენშევიკები და ნაციონალ-დემოკრატები, ცხარს უჭერდენ და ასაზრდოებდენ მეორე ინტერნაციონალის დღევანდელი ხელმძღვანელები, ე. ი. იგივე მაკდონალდი, სნოუდენი, ვანდერველდე და ძმანი მათნი. ვისთვის იყო საჭირო ეს მუშაობა? ვის მზადებდენ გამარჯვებას ეს ვაჟბატონები?

ერთი მხრით, ქართველი მენშევიკების ბელადები: წერეთელი, ჩხეიძე, ჩხენკელი, რამიშვილი და სხვები აწარმოებდენ საიდუმლო მოლაპარაკებას საფრანგეთში პუანკარეს მთავრობასთან და ინგლისში ლლოიდ-ჯორჯის მთავრობასთან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ჩამოსაგდებად უცხოეთის ჯარების დახმარებით იმ მიზნით, რომ შემდეგში საქართველოში იმპერიალისტურ ბურჟუაზიას თავისუფლად დაეწყო პარპაში. და ყოველივე ეს ხდებოდა საქართველოს განთავისუფლების ლოზუნგით. ნამდვილი განზრახვა კი იყო მუშების და გლეხების ხელისუფლების დამხობა და ხელახლა ბურჟუაზიული წესწყობილების დამყარება. ამ მიზნით საქართველოდან გაქცეული მენშევიკების ბელადები ბურჟუაზიულ წყაროებიდან ღებულობდენ ნივთიერ სახსარს, ფულს და გზავნიდენ საქართველოში რაზმების შესადგენად. ამ რაზმებისათვის ხალხს კრებდენ ყოფილ თავად - აზნაურობიდან და მეფის აფიცრებიდან ერთი მხრით და პირდაპირ ყაჩაღებიდან მეორე მხრით.

საფრანგეთის და ინგლისის ბურჟუაზიულ მთავრობებს უნდოდათ საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობის გამწვავება, რომ მათ საბაბი მისცემოდათ ჩვენ საშინაო საქმეებში ჩასარევად. მენშევიკების აზრით ეს მოხდებოდა, თუ რომ საქართველოში ადგილი ექნებოდა რაიმე არევ-დარევას, რაიმე ყაჩაღურ, ბანდიტურ გამოსვლებს, მატარებლების ან ხიდების აფეთქებას, მთავრობის დაწესებულებებზე თავდასხმას, ტერორისტულ აქტებს და სხვა და სხვა. და აი სწორედ ყოველივე ამას ამზადებდენ და ახდენდენ საქართველოში ევროპის იმპერიალისტური ბურჟუაზიის აგენტები—ქართველი მენშევიკები მთელი ორნახევარი წლის განმავლობაში. ყველა ამის შედეგად ჩვენ მივიღეთ შარშან ეგრედწოდებული „აჯანყება“ ანუ აგვისტოს ავანტიურა, რომელიც საკმარისად ძვირად დაუჯდა ქართველ ხალხს.

ყველას ეგონა, რომ ამის შემდეგ მაინც მენშევიკები ისწავლიდენ ჭკუას. და მართლა უნდა ვთქვათ: ამ ავანტიურამ ბევრი უფრო ფხიზელი, უფრო საღი და გონიერი ნაწილი მენშევიკებისა საქართველოში, რომელიც მანამდის თვალებდახუჭული მიყვებოდა ჟორდანიას, გამოაფხიზლა და თვალები აუხილა. ამათ უკვე დაგმეს მენშევიკური გზა და მენშევიკური ტაქტიკა, რომელიც მხოლოდ დაღუპვას უმზადებს ქართველ მშრომელ ხალხს. ეს საღი ნაწილი, რომელიც უკვე საბოლოოდ გამოეთიშა ჟორდანია-რამიშვილის პარტიას, დღეს ხელიხელ ჩაკიდებული კომუნისტურ პარტიასთან ერთად მუშაობს ქართველი მუშების და გლეხების სასარგებლოდ. მაგრამ არის კიდევ ერთი მუჭა ვიწრო პატარა ჯგუფი გაბოროტებულ მენშევიკებისა, რომელთაც უკვე აღარ შეუძლიათ ავანტიურაზე უარის თქმა. აი ეს ჯგუფი, რომელსაც ატყუილებენ ევროპაში მყოფი მენშევიკები, ჯერ კიდევ განაგრძობს ძველი გზით სვლას და ძველი ტაქტიკით მოქმედებას. მართალია ეხლა ეს ვაჟბატონები როდი ლაპარაკობენ პირდაპირ აჯანყების მოწყობაზე, ვინაიდან ეს პირდაპირ სიგიჟე იქნებოდა, და ამას მათ არავინ დაუჯერებდა. არა. ისინი ახლა აცხადებენ, რომ ჩვენ უნდა ვაწარმოოთ მშვიდობიანი პროპაგანდა საბჭოების წინააღმდეგ და დადგება დრო, როცა აჯანყება თავისთავად დადგება დღის წესრიგში. ჩვენ კი აქედან უნდა ვამზადოთ ხალხი ასეთი შემთხვევისთვისო.

და აი ამ დროს ლონდონში კვლავ აარსებენ „საქართველოს მეგობართა საზოგადოებას“, რომელმაც უნდა აგროვოს ფულები ქართველ ემიგრანტების სასარგებლოდ. მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ ამ ვაჟბატონებს ფულები ერთობ შემოელიათ. რაც საქართველოდან გაიტაცეს, უკვე დიდი ხანია გაფლანგეს. ნუ დაივიწყებთ, რომ საფრანგეთში ჯერ კიდევ განაგრძობს არსებობას „საქართველოს მთავრობა“,—ეს უკვე მეხუთე წელიწადია. მას მართლაც ესაჭიროება ფული, და თუ მას არა აქვს ჩვეულებრივი შემოსავალი, მას მეტი გზა არ დარჩენია—შემოწირულებით უნდა იარსებოს. ასეთია მისი ხვედრი.

მაგრამ ნურც ისე გულუბრყვილონი ვიქნებით. ქართველ ემიგრანტების დახმარების სახით აქ **იმალება დახმარება, სუბსიდია საქართველოში კვლავ აჯანყების მოხდენის მზადება ისათვის.** დეე ნურავინ იფიქრებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების მესვეურებს ეს გარემოება ოდნავადაც აშინებდეს, ე. ი. რომ ამით თვით საბჭოთა ხელისუფლებას რაიმე საფრთხე მოელოდეს. სრულებითაც არა. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს რომ თვით ხალხს ამით რაიმე, უბედურება არ დაატყდება კიდევ თავს. თავზე ხელაღებული პირები ყოველთვის მოიპოვებიან და აი სწორედ ისინი მოახვევენ ხალხს თავზე ამ უბედურებას, თვითონ კი სადმე გაძვრებიან. არავისათვის საეჭვო არაა, რომ ბ-ნ მაკდონალდის „საქართველოს მეგობართა საზოგადოებას“ სწორედ ეს აქვს დასახული თავის მთავარ მიზნად. ამიტომ მეორე ინტერნაციონალის ამ გმირებს ჩვენ ვეტყვით: **შორს საქართველოსაგან ასეთი მეგობრები!** ბ-ნო მაკდონალდო! ქართველ მუშას და გლეხს არ სურს თქვენი მეგობრობა და ბევრათ უმჯობესი იქნებოდა, რომ თქვენ ხელი აგეღოთ მათთვის მზრუნველობაზე. არაფერი კეთილი მათთვის აქედან არა გამოვა რა.

ერთი გარემოება კიდევ. მეტად საკვირველი და საგულისხმიეროა ის, რომ არც ბ-ნი მაკდონალდი და მეორე ინტერნაციონალის სხვა რომელიმე ბელადი არ ცდილა დაეარსებია, მაგ., თუნდ ჩინეთის, ან ინდოეთის მეგობართა საზოგადოება იქაურ ემიგრანტების დასახმარებლად ან და ჩინეთის ან ინდოეთის განთავისუფლებისთვის ხელის შესაწყობად. მხოლოდ საქართველოზე იჩენენ ეს ვაჟბატონები ასეთ მზრუნველობას. ეს ადვილი ასახსნელია. ჩინეთში, ინდოეთში, ეგვიპტეში, მაროკოში სწარმოებს სასტიკი ბრძოლა იქაურ მუშების და გლეხების მხრით დიდი ბრიტანეთის კაპიტალისტების წინააღმდეგ, ე. ი. ბ. ბ. მაკდონალდების და სნოუდენების მოკავშირეების წინააღმდეგ. ყველა ქვეყნის მუშა და გლეხი თანაუგრძნობს დღეს ამ ქვეყნების რევოლიუციონურ ბრძოლას ევროპის და ამერიკის იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებიც აქამდე სტანჯავენ და ავიწროებენ აღმოსავლეთის ქვეყნების მშრომელთა ხალხს. რატომ არ უჭერენ მხარს მეორე ინტერნაციონალის გმირები ამ ხალხთ? რატომ არ აარსებენ საზოგადოებებს იმათ დასაცავად? იმავე დროს, რატომ ეს ვაჟბატონები უჭერენ მხარს ქართველ ემიგრანტებს ევროპაში, რომელთაც სწადიათ საბჭოთა ხელისუფლების დამხობა საქართველოში? საჭიროა, რომ ქართველი მუშა და ქართველი გლეხი კარგად ჩაუფიქრდეს ამ კითხვებს, რათა ნათლად წარმოადგინონ ის მუხანათობა, რომელსაც ჩადიან მათ წინაშე მეორე ინტერნაციონალის სახელგატეხილი გმირები. ბ.ბ. მაკდონალდებს და სნოუდენებს ჩვენ ვეტყვით: ჩვენ დიდი შრომა არ დაგვჭირდება, რომ ნიღაბი ჩამოგხადოთ ქართველი მშრომელი მასსის წინაშე. იცოდეთ, რომ „საქართველოს მეგობართა საზოგადოებით“ თქვენ დღეს საბჭოთა საქართველოში ველარ ავის მოატყუილებთ, გარდა იმ თითო ოროლა თავზე ხელაღებულთა, რომელთა გამოსწორება მხოლოდ სამარეს შეუძლია.

ფ. მახარაძე.

საკავშირო საფინანსო თათბირი

საბჭოთა კავშირის ფინანსიური მდგომარეობა: წრევანდელი მოსავალი 800—900 მილიონი ფუთით მეტი იქნება შარშანდელზე.—ჩვენი ბიუჯეტი ორი წლის განმავლობაში ერთი-ორად გაიზარდა.—პრაქტიკულად უნდა განვახორციელოთ ლოზუნგი: „ჯიბით სოფლისაკენ“.—მომავალ წელს საგრძნობლათ უნდა გავადიდოთ სახელმწიფო შემოსავალი.—საგადასახადო ტვირთი მოსახლეობას უნდა შევუმსუბუქოთ.—სასოფლო-სამეურნეო გადასახადის უმტკივნეულოთ შესაკრებათ უნდა გავაუმჯობესოთ საგადასახადო აპარატი.—შრომის ხელფასი 1925—26 წ. ალბათ ომამდე არსებულ დონეს მიაღწევს.—გრძელვადიანი კრედიტის საქმე კარგ ნიადაგზეა დაყენებული.—ჩვენს მთავარ ამოცანას წარმოადგენს ამჟამად მოსავლის გასაღების საქმის მოწყობა.—ჩვენ საკუთარი ძალებით შევსძლებთ საპატიო ადგილის დაკავებას მსოფლიო მეურნეობაში.

საკავშირო სახელმწიფო ბანკის მუშაობა: ამჟამად ბაზარზე 800 მილიონი მანეთის ვალიუტა არის.—ბანკის ამოცანას შეადგენს სასწრაფო და ფართე დახმარების აღმოჩენა მრეწველობისათვის.—მრეწველობა უახლოესი 9 თვის განმავლობაში მიიღებს გრძელვადიანი სესხი 250 მილიონი მანეთის რაოდენობით.—სავაჭრო ბრუნვაში უნდა ჩავაბათ კერძო კაპიტალიც.

საბჭოთა კავშირის ფინანსიური მდგომარეობა

ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენება

კარგი მოსავალი.

მოსკოვი, 25 ივნისი. მოხსენებაში სოკოლნიკოვმა სთქვა, რომ წინასწარ ცნობების მიხედვით წრევანდელი მოსავალი აღემატება შარშანდელს 800—900 მილიონი ფუთით. აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს ემჩნევა მნიშვნელოვანი წინსვლა შარშანდელთან შედარებით.

კარგი მოსავალი კიდევ უფრო დააჩქარებს საბჭოთა ქვეყნების სამეურნეო ზრდას.

ბიუჯეტი იზრდება.

ჩვენ უახლოვდებით ომის წინა დროის დონეს. საფინანსო ძირითადი წინაპირობები მეურნეობის მომავალი განვითარებისათვის ჩვენ მიერ უკვე შექმნილია. **უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ბიუჯეტი გაიზარდა 1.300.000.000 მანეთიდან 2.500.000.000 მანეთამდე.** 1925—26 წელში კი მოსალოდნელია გადასცილდეს 3 მილიარდ მანეთს ხელსაყრელ პირობებში კი შესაძლებელია დაუახლოვდეს 3.500.000.000 მანეთს. მაგრამ ბიუჯეტის ზრდასთან ერთად იზრდება საკულტურო და სამეურნეო მოთხოვნილებებიც, აგრეთვე მოთხოვნილებები თავდაცვის განმტკიცებასა და სამეურნეო აპარატის გამაგრებისათვის.

როცა საკმაოთ მოწესრიგებულია საბჭოთა ქვეყნების შინაური ცხოვრება, აუცილებლათ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს თავდაცვის და წითელი არმიის განმტკიცების საქმეს, რათა თავიდან ავიცილოთ ზოგიერთ მტრების თავდასხმის საფრთხე.

„ჯიბით სოფლისაკენ“.

მასსების კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეში საფინანსო პოლიტიკა უნდა გატარდეს ისე, რომ განხორციელებული იქნეს ლოზუნგი: „ჯიბით სოფლისაკენ“. საჭიროა გაფართოვებული იქნეს სავოლოსტო (სათემო) აღმასკომების საბიუჯეტო უფლებები (გასავლის დარგში) და ამასთან ერთად გაძლიერებული უნდა იქნეს მისი შემოსავლის წყაროები. სათემო ორგანოები მიზნად უნდა ისახავდენ გლეხთა ფართე მასების ჩაბმას საფინანსო მუშაობაში ბიუჯეტის შედგენის დროს.

გადასახადები.

საგადასახადო საქმე უნდა მოეწყოს ისე, რომ სახელმწიფო შემოსავალი უფრო მეტი იყოს, მაგრამ ის არ უნდა დააწვეს მეტ ბარგათ ცალკე მეურნეობებს.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ სისწორით ასრულება იმისა, რაც დაადგინა საბჭოთა მესამე ყრილობამ, ე. ი. გადასახადები საგრძნობლათ უნდა შევამციროთ.

ამ შემცირების გარდა მიმდინარე წელში მიწოდებულია ნაწილი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა, რომელიც შედის სათემო ბიუჯეტში. ჩვენ შემდეგშიაც წავალთ ამ გზით, მხოლოდ დანიშნულ საზღვარს კი არ გადავცილდებით, ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო გადასახადი არის სახელმწიფო ფინანსის საფუძველთაგანი.

გადასახადის უმტკივნეულოდ ასაკრეფად საჭიროა გაუმჯობესებული იქნეს საგადასახადო აპარატის მუშაობა; მან არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაარღვიოს გადამხდელების კანონიერი უფლებები. კერძო ვაჭრობის დაბეგვრის დროს საჭიროა შესაფერი კანონების სისწორით დაცვა.

საბჭოთა კავშირისთვის არ არის ხელსაყრელი გადასახადების საშუალებით კერძო ვაჭრობის დანგრევა იმდენად, რამდენადაც მიღებულია მათი არსებობა ჩვენ სამეურნეო სისტემაში. ამ სფეროში მთავრობის მიერ არ იქნება დაშვებული „შევიწროების“ პოლიტიკა, რომელიც არ კმაყოფილდება კანონით განსაზღვრული ნორმით.

არა საგადასახადო შემოსავლებმა უნდა შეუწყონ ხელი საწარმოვო ძალების ზრდას.

შრომის ხელფასი

მრეწველობის ზოგიერთ მნიშვნელოვან დარგებში რეალური სამუშაო ხელფასი ჯერ კიდევ ვერ არის ასული ომის წინ არსებულ ნორმამდი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საკითხი მოგვარებული იქნება 1925—26 წელში, პირველ ყოვლისა ფასების დაკლების საფუძველზე.

გრძელვადიანი სესხი.

მიმდინარე ანგარიშების და ანაბრების ნარჩენების ჯამი უდრის 1 მილიარდ მანეთს. ამ დაგროვილ საშუალებების წყალობით ჩვენ შეუდგებით გრძელვადიანი სესხის საქმის მოწყობას. პირველ ნაბიჯს ამ მხრივ წარმოადგენს სამეურნეო აღდგენის მიზნით სესხის გამოშვება 300 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ფულის ბრუნვა, რომელმაც მიაღწია 400 მილიონ მანეთამდე, 1926 წლის იანვრისათვის შეიძლება გაიზარდოს 50 პროცენტით.

მოსავლის გასაღება.

უახლოეს დროისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრაქტიკულ ამოცანად უნდა ჩაითვალოს მოსავლის გასაღების კამპანიის ჩატარება. პურის შესყიდვის საქმის მოგვარება წრეულს უფრო ადვილია, რადგან სახელმწიფო ბანკის საემისიო უფლებები შედარებით გაფართოვებულია, ფულის ბრუნვის გაძლიერების გამო. ვინაიდან წელს მოსავალი კარგია, არსებული დიდი ფასები პურზე უნდა შემცირდეს, ისე კი, რომ ამით არ დაირღვეს გლეხის ინტერესი.

საკუთარი ძალებით.

კავშირის შემდეგი განვითარება შესაძლოა მომხდარიყო უფრო ჩქარი ტემპით, რომ მას შესძლებოდა სარგებლობა უცხოეთის კრედიტით, მაგრამ ეხლა ჩვენ უნდა დავემყაროთ მხოლოდ საკუთარ საშუალებებს. ჩვენ შევალთ საერთაშორისო მეურნეობის სისტემაში უცხოეთიდან სესხის მიუღებლადაც, პურის, ხე-ტყის, ნავთის და სხ. მასალების გატანის საშუალებით. ფინანსიურ დარგში მომუშავეები უნდა ებრძოლონ უვიცობას, უცოდინარობას, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ჩამორჩენილობას და დაეხმარონ საბჭოთა კავშირს, რათა ის ჩქარა წავიდეს წინ სამეურნეო და კულტურული აღორძინების გზით.

საკავშირო სახელმწიფო ბანკის მუშაობა

ამხ. თუმანოვის მოხსენება

მოსკოვი, 25 ივნისი. საკავშირო საფინანსო თათბირის და სახელმწიფო ბანკის განყოფილებების გამგეთა საკავშირო ყრილობის გაერთიანებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის **თუმანოვის** მოხსენება.

მომხსენებელმა მოიყვანა ციფრები, რომლებიც ახასიათებენ სახელმწიფო ბანკის ზრდას. მოხსენებიდან სჩანს, რომ მთავარი ამოცანები, რომლებიც დასმული იყო სახელმწიფო ბანკის წინაშე, შესრულებული იყო სახალხო მეურნეობის ზრდის ტემპთან სავსებით შეთანხმებულად. მოხსენების თანახმად, სახელმწიფო ბანკმა სულ გამოუშვა 653 მილიონი მანეთის საბანკო ბილეთები. ფულის ტრიალის საერთო ჯამი, თუ მივათვლით სახაზინო ვალიუტასაც, ამჟამად უდრის სრულ 800 მილ. მანეთს, ე. ი. 7-ჯერ აღემატება ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისში არსებულ ფულის ტრიალის ჯამს. სასოფლო მეურნეობის განვითარება ხდება, როგორც საერთო ზრდის, ისე პროდუქტების თვისების გაუმჯობესების ხაზით.

ჩვენს ამოცანას წარმოადგენს გაუწიოთ რაც შეიძლება უფრო ფართო და ჩქარი დახმარება ჩვენს მრეწველობას. განზრახული საგარანტიო სესხი სამეურნეო აღდგენისათვის—300 მილიონი მანეთის რაოდენობით—წარმოადგენს სახელმწიფო ბანკის და ფინსახკომის ღონისძიებათა კომბინაციას. სესხების გზით მახლობელ 9 თვის განმავლობაში მრეწველობა მიიღებს დაახლოვებით 250 მილ. მანეთს გრძელვადიანი კრედიტის სახით.

აუცილებელია კერძო კაპიტალის მიზიდვა, რადგან სახელმწიფო მრეწველობა განიცდის საბრუნავ საშუალებების ნაკლებობას.

საჭიროა სავაჭრო ბრუნვის სფეროში ჩავაბათ კერძო კაპიტალი და ეკონომიური პოლიტიკის ზომებით ვაიძულოთ ის იმუშაოს საბჭოთა ეკონომიკის განვითარების სასარგებლოდ. რასაკვირველია, ჩვენ ზედმეტად არ უნდა შევაფასოთ მისი მნიშვნელობა. იქ, სადაც კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობა საკმაოდ ძლიერია, საჭირო არ არის მისთვის საკრედიტო დახმარების აღმოჩენა. მაგრამ იქ, სადაც ადგილი აქვს სავაჭრო სიცალიერეს, ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველივე ზომები კერძო კაპიტალის მისაზიდავად.

ამხ. კრასინის მისალმება

თუმანოვის მოხსენების შემდეგ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სახელით მისალმებით გამოვიდა **კრასინი.** კრასინმა აღნიშნა, რომ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, ფინსახკომის და სახალხო ბანკის მუშაობა მჭიდროთ უკავშირდება ერთმანეთს მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლების მთავარ ამოცანად იქცა კავშირის სამეურნეო აღორძინება. კრასინმა აღნიშნა, რომ ამჟამად განსაკუთრებით აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა უცხოეთის კრედიტის დარგში.

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარების გეგმაში, რასაკვირველია ჩვენ არ შეგვიძლია დაუჯეროთ უცხოელ ეკონომისტების რჩევას, რომელთაც სურთ განვითარების გზაზე დამდგარ საბჭოთა კავშირში ხედავდენ უმთავრესად დიდ მიწათმოქმედების ქვეყანას. ჩვენ უნდა განვავითაროთ ჩვენი მრეწველობის ყველა ძირითადი დარგები, რადგან ჩვენ გვაქვს საკმაო ბუნებრივი რესურსები და საერთო წინასწარი პირობები არა მარტო აგრარული ტიპის, არამედ უაღრესად სამრეწველო ხასიათის მეურნეობის მწყობრი სისტემის განვითარებისათვის.

ემყარება რა უცხოეთის მუშაობის გამოცდილებას, კრასინი საჭიროდ სთვლის, რომ არსებობდეს უაღრესად მჭიდრო თანხმობა ფინსახკომის, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის ყოველდღიურ მუშაობაში, რამდენად ისინი დაინტერესებული არიან საგარეო პოლიტიკით და საბჭოთა კავშირის და უცხოეთის სახელმწიფოების ეკონომიური ურთიერთობით.

გზა და გზა კრასინი ეხება საფრანგეთში ჩერვონეცის ხმარებაში დაშვების საკითხს და აღნიშნავს, რომ ამ მუშაობაში არსებული დაბრკოლებები აიხსნება არა იმით, რომ რაიმე ეჭვს ჰბადებდეს ჩერვონეცის სიმტკიცე, არამედ უმთავრესად წმინდა პოლიტიკური მიზეზებით, რადგან საფრანგეთის ზოგიერთ წრეებში იმ აზრის არიან, რომ არ არის საჭირო კონკრეტიულ საქმეების დაჭერა საბჭოთა კავშირთან, სანამ არ არის გადაჭრილი საკითხი მეფის ვალების შესახებ.

სადღეისო ამოცანა

ჩვენი გაზეთის ოთხშაბათის ნომერში გამოქვეყნებული გვქონდა მოკლე ანგარიში ზუგდიდის მაზრის გამოკვლევის შესახებ, რომელიც ჩაატარა საქართველოს ცკ-თან არსებულ საბჭოთა აღმშენებლობის თათბირმა.

სხვა მტკივან მხარეებს შორის, რომელსაც ადგილი აქვს ამ მაზრაში, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სწავლა-განათლების უმწეო მდგომარეობა.

„სკოლები უნუგეშო მდგომარეობაშია. სასწავლო ინვენტარი ნაკლებათ მოიპოვება. შენობები ბევრ ალაგას დანგრეულია. ოთახებში წვიმა ჩამოდის. ფანჯრები ჩამტვრეულია. და საერთოდ მაზრაში სკოლების დიდი ნაკლებობაა“.

ასეთია ის სურათი, რომელიც ჩვენ წინ იშლება გამომკვლევ კომისიის ანგარიშიდან ერთ-ერთი მაზრის სწავლა-განათლების მდგომარეობის შესახებ. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს პირობები მხოლოდ ზუგდიდის „საკუთრებას“ წარმოადგენენ და სხვა მაზრებში სკოლების საქმე ბევრათ უკეთეს მდგომარეობაშია.

ჩვენ მოგვეპოვება ცნობები სხვა მაზრებიდანაც და უნდა ითქვას, ჩვენდასამწუხაროთ, რომ ამ მხრივ არც სხვა რაიონებში აქვს ადგილი მაინცა და მაინც სახარბიელო მდგომარეობას.

ბორჯომის რაიონიდან, მაგალითად, გვატყობინებენ რომ ზოგიერთ სოფლებში დაფების ადგილას თეთრ ფიცარს ხმარობენ, რომელზედაც ცარცის მაგიერ ნახშირის ნამტვრევებით სწერენ.

ამნაირად სკოლების კეთილმოწყობის საკითხი ერთ მწვავე და მორიგ ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული. საზაფხულო არდადეგები ისეთი დროა, როცა სკოლა სამოსწავლო წლის მოლოდინში ყოველმხრივ ემზადება, წარსული წლის ნაკლს ასწორებს.

საჭიროა საქმისადმი ამთავითვე მიხედვა. ჩვენ უკვე კარგა ხანია უკან მოვიტოვეთ ის დრო, როცა თავგადახდილ, მინებჩამტვრეულ სკოლაში მეცადინეობას იძულებული ვიყავით შევრიგებოდით. შავი დაფა და ჩვეულებრივი ცარცი—ჩვენს პირობებში იმდენათ უსახსრობის შედეგათ არ ჩაითვლება, რამდენადაც უინიციატივობათ და სათანადო ადგილობრივ ორგანოების უმოქმედობათ.

სახგანკომის გარდა, რომლის ბიუჯეტიც ისედაც ვერ აუდის სწავლა-განათლების ყოველდღიურ საჭიროებას, პირველი სიტყვა ამ შემთხვევაში ეკუთვნის სკოლის მზრუნველ კომისიებს, სოფლის ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და თუ სოფელს შეფობს რომელიმე დაწესებულება, ამ საშეფო კომისიებს.

ჩვენი შეფების კულტურულ მუშაობის დასაყრდენობ წერტილად სოფლად სკოლა უნდა გადაიქცეს. მარტო იმით ხომ არ ამოიწურება შეფის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, რომ მან დრო-გამოშვებით წარმოდგენები მართოს გლეხებისათვის და მოხსენებები უკეთოს მათ საშინაო თუ გარეშე მდგომარეობაზე.

მაგრამ სკოლის კეთილმოწყობის კითხვა ჩვენ მარტო ინვენტარის კითხვათ არ მიგვაჩნია. იმის გარდა, რომ საჭიროა მთელი სახურავი, სიცივესგან დაცული ბინა, სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები, სკოლას, რაც უმთავრესია, ესაჭიროება ხეირიანი ხელმძღვანელი, რომელიც იმ ცოდნასთან ერთად, რაიც უნდა ჰქონდეს სოფლის მასწავლებელს, [illegible] ერკვეოდეს აგრეთვე საბჭოთა სინამდვილის პირობებში და რამდენადმე მაინც წარმოიდგენდეს ახალი სკოლის აღმზრდელობითი-განმანათლებელ ამოცანებს.

ამისათვის პირველყოვლისა საჭიროა მასწავლებელთა საზაფხულო კურსების მოწყობა. სამოსწავლო წლის განმავლობაში კი, რადგან ჯერ კიდევ ნაადრევია ყოველ სკოლასთან საკუთარ ბიბლიოთეკის მოწყობაზე ლაპარაკი, მასწავლებელს საშუალება უნდა ჰქონდეს მოძრავი ბიბლიოთეკებით მაინც ისარგებლოს.

ეს უკანასკნელი საკითხი უფრო ცენტრის საკითხია, ვიდრე ადგილების. ამნაირად ჩვენი სკოლების მდგომარეობა დღეს ისეთია, რომ ის ითხოვს დროულს და აუცილებელ გაუმჯობესებას.

უნდა ეხლავე იქნას მიღებული სათანადო ზომები როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ. ზაფხული სწორეთ საამისო თვეებია. თორემ სექტემბერიც ცხრა მთას იქით აღარაა. შემოდგომაც არ დააყოვნებს კარზე მოდგომას და ზამთრის შეხვედრა თავგადახდილ სკოლებით, მინებ ჩამტვრეულ ფანჯრებით და თეთრი დაფით, რა თქმა უნდა, უშედეგოდ არ ჩაივლის მომავალ სამოსწავლო წლისათვის.

ა. წითლოვანი.

მდგომარეობა ინგლისში

ინგლისის პროფკავშირთა საბჭო მოითხოვს სავაჭრო ურთიერთობის განახლებას საბჭოთა კავშირთან

ბალდვინი აღიარებს, რომ „საბჭოთა კავშირის დაბრუნება საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში სასარგებლოა ინგლისისათვის“

მუშათა პარტიას მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლიუცია შეაქვს თემთა პალატაში

უმუშევრობა ინგლისში საშიშ ხასიათს იღებს.

ინგლისის მუშები საბჭოთა კავშირის ცნობას მოითხოვენ

ლონდონი, 24 ივნისი. გამოქვეყნდა ოფიციალური ანგარიში იმ თათბირის შესახებ, რომელიც ინგლისის პროფკავშირთა საბჭოს დელეგაციას ჰქონდა ბალდვინთან და ჩემბერლენთან.

ანგარიშში ნათქვამია, რომ **პერსელი, ბრამლი და ტეილორი დაჟინებით მოითხოვდენ საბჭოთა კავშირის სრულ დიპლომატიურ ცნობას და და მასზე ყველა სავაჭრო შეღავათების გავრცელებას, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება ინგლისში უმუშევრობის საკითხის მოწესრიგება.**

ბალდვინმა უპასუხა, რომ რუსეთში ინგლისის მრეწველობის პროდუქციის ძლიერ მცირე ნაწილი საღდებოდა წინადაც, **მაგრამ რუსეთის დაბრუნებას მსოფლიო ვაჭრობის სფეროში მაინც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ინგლისისათვისო.**

შემდეგ ბალდვინმა აღნიშნა, რომ **საბჭოთა კავშირთან ვაჭრობას არავინ ზღუდავს დიპლომატიური მოსაზრებით და რომ საბჭოთა კავშირს, თუ კი მოისურვებს, შეუძლია გააფართოოს სავაჭრო ურთიერთობა ინგლისთანო.**

ჩემბერლენმა დაადასტურა ბალდვინის განცხადება და დასძინა, რომ სასურველია საბჭოთა კავშირის შესვლა ერთა ლიგაში.

მუშათა პარტია უნდობლობას უცხადებს ბალდვინის მთავრობას

ლონდონი, 26 ივნისი. მომავალ კვირაში ინგლისის მუშათა პარტიას თემთა პალატაში შეაქვს მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების რეზოლიუცია. რეზოლიუციაში ნათქვამია:

„პალატას არავითარი ნდობა არა აქვს მთავრობისადმი, რომელმაც იმ დროს, როცა სამრეწველო კრიზისი ხანგრძლივ ხასიათს იღებს, უმუშევრობა კი სწრაფად იზრდება, ვერ მიიღო ვერავითარი ზომები სახელმწიფოს გამოსაყვანად ამ მძიმე მდგომარეობიდან.“

რეზოლიუცია ხელმოწერილია მაკდონალდის, უიტლისა და სნოუდენის მიერ.

კამათი თემთა პალატაში საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ

ჩემბერლენის სიტყვა.

ლონდონი. 24 ივნისი. თემთა პალატაში ჩემბერლენმა განაცხადა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარ მიზანს წარმოადგენდა მშვიდობიანობის უზრუნველყოფა. პოლიტიკა, რომელსაც მიმართავდა ყოფ. პრემიერი ლოიდ ჯორჯი—გერმანიის წინააღმდეგ მიმართული საგარანტიო ხელშეკრულების დადება მოკავშირეებს შორის, მიუღებელია ინგლისისათვის. ინგლისისათვის მიუღებელია ყოველგვარი პოლიტიკა მიმართული მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ინგლისის ვალდებულებები განისაზღვრება საფრანგეთ-გერმანიის და გერმანია-ბელგიის საზღვრებით. რაც შეეხება აღმოსავლეთის საზღვრებს, **საფრანგეთს შეუძლია გერმანიის თავდასხმა პოლონეთზე ჩასთვალოს მისთვის ომის გამოცხადებათ.**

პონსონბის განცხადება.

პონსონბი ამბობს, რომ მთავარ საბუთს საგარანტიო ხელშეკრულების წინააღმდეგ გასალაშქრებლად წარმოადგენს ის გარემოება, **რომ საგარანტიო ხელშეკრულების პროექტით იქმნება სახელმწიფოთა ჯგუფები, რომლენიც ამრიგად მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან სხვა სახელმწიფოებთან, რომლენიც ამ ჯგუფს არ ეკუთვნიან.**

ინგლისის ახლანდელი მთავრობის პოლიტიკა,—აცხადებს პანსონბი,—მიმართულია იქითკენ, რომ ხელს შეუშალონ რუსეთს შევიდეს ხალხთა ოჯახში. უნდათ გერმანია მოაქციონ დასავლეთ ევროპის ორბიტაში, რუსეთს კი ისვრიან აზიის ორბიტში, რაც, რასაკვირველია, მეტად სერიოზულ შედეგებს გამოიწვევს ევროპა-აზიის დამოკიდებულებაში.

უოლხედის გამოსვლა.

მუშათა პარტიის წევრმა უოლხედმა განაცხადა, რომ სახელმწიფოები სდგამენ უგნურ ნაბიჯს, როცა გაურბიან საბჭოთა კავშირთან შეთანხმებას. ყოველგვარი ხელშეკრულება, დადებული საბჭოთა კავშირთან შეუთანხმებლად, წინდაწინვე განწირულია, მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. საგარანტიო ხელშეკრულება უარყოფილი უნდა იქნას, რადგან ის ჰქმნის ახალი ომის საშიშროებას.

ყრილობა უმუშევრობის საკითხის განსახილველად

ლონდონი, 24 ივნისი. ინგლისის კომპარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ესალმება პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს გადაწყვეტილებას უმუშევრობის საკითხის განსახილველად სპეციალური ყრილობის მოწვევის შესახებ.

კომპარტია მოითხოვს, რომ შეიქმნეს კავშირი მსხვილ პროფკავშირებს შორის. ამ კავშირს მხარი უნდა დაუჭიროს პროფკავშირების ცენტრალურმა საბჭომ და უმუშევართა ნაციონალურმა კომიტეტმა.

ყრილობამ უნდა განიხილოს აგრეთვე **საკითხი ინგლისის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირისათვის სესხის მიცემის, ინდოეთის პროფკავშირთა საბჭოსათვის და ჩინელ მუშების დახმარების აღმოჩენის და საზოგადოების—„ხელები შორს ჩინეთისაგან“ მოწყობის შესახებ.**

კომპარტია მოუწოდებს მუშებს ეს საკითხები დასვან კონგრესის დღის წესრიგში და მოაწყონ მოქმედების კომიტეტები.

ყრილობის ამოცანები

ლონდონი, 24 ივნისი. პროფკავშირების სპეციალური ყრილობა, რომლის მოწვევა განზრახულია ახლო ხანში, შესდგება თითეულ 10.000 კაცზე გამოგზავნილ დელეგატებიდან.

მუშათა წრეებში ამბობენ, რომ ყრილობა უმუშევრობის საკითხის გარდა განიხილავს აგრეთვე სამრეწველო კრიზისის საკითხსაცო.

„მოიღეთ მოწყალება გაუბედურებულებისათვის“

ლონდონი, 24 ივნისი. დაარსდა „საქართველოს მეგობართა საზოგადოება“ ქართველ ემიგრანტების დახმარების მიზნით შემოწირულებათა შესაკრებად.

ახალი საზოგადოება წარმოიშვა წინანდელი „საქართველოს დამხმარე კომიტეტიდან“, რომლის მიზანს შეადგენდა აგიტაცია საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ახალმა საზოგადოებამ გამოუშვა მოწოდება ფულად შემოწირულებათა შესაკრებად. მოწოდება დაბეჭდილია რამდენიმე გაზეთში და ხელმოწერილია ფილიპ სნოუდენის, მისი ცოლის და მაკდონალდის მიერ.

ისინი, ვინც მომავალი ომის „გარანტიას“ იძლევიან



ბრიანი



ჩემბერლენი

ბრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ ჩინეთში

ჩინეთის მთავრობა მოითხოვს უცხოელებისაგან უთანასწორო ხელშეკრულების გაუქმებას

კანტონში ინგლისელებსა და ჩინელ მანიფესტანტებს შორის შეტაკება მოხდა

ჩინეთში ფართოვდება მოძრაობა საყოველთაო შეიარაღების სასარგებლოდ

შანხაის ნავთსადგურში საბჭოთა გემების დატვირთ-გადმოტვირთვა დაუბრკოლებლად სწარმოებს

ჩინეთი მოითხოვს უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმებას

პეკინი, 24 ივნისი. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ ჩინეთის მთავრობამ გადასცა ინგლისის, ამერიკის, იაპონიის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიის და პორტუგალიის წარმომადგენლებს ნოტა, რომელშიაც **მოითხოვს უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმებას.**

იუწყებიან, რომ ჩჟან-ძო-ლინის მომხრეები კაბინეტში ცდილობდენ ამ ნოტის უარყოფას, მაგრამ უშედეგოდ, რადგანაც მინისტრების უმრავლესობა აღნიშნავდა, **რომ სახელმწიფოში დაწყებული მოძრაობა აუცილებლად მოითხოვს ამგვარი ნოტის გაგზავნას.**

ჩინეთის ახლანდელი მთავრობის მიერ ამგვარი ნოტის გაგზავნა გვიჩვენებს, რომ მოძრაობა ფართე ხასიათს იღებს და **აიძულებს მთავრობას აშკარად გაილაშქროს უცხოელთა ძალადობის წინააღმდეგ** და შეუერთდეს იმპერიალიზმს საწინააღმდეგო მოძრაობას.

ამ ნოტასთან ერთად მთავრობამ სახელმწიფოების წარმომადგენლებს გადასცა მეორე ნოტა, რომელიც შეეხება შანხაის ამბებს. **ამ ნოტაში ჩინეთის მთავრობა მხარს უჭერს იმ 18 მოთხოვნილებას, რომლებიც წარუდგინა ჩინელების დელეგაციამ შანხაიში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა კომისიას.**

შეტაკება კანტონში

პეკინი, 25 ივნისი. როგორც სჩანს, **მდგომარეობა კანტონში თანდათან მწვავდება.** ამ უკანასკნელი 5 დღის განმავლობაში არც რუსეთის დეპეშათა სააგენტოს და არც საბჭოთა საელჩოს პეკინში არ მიუღიათ კანტონიდან რაიმე ამბები უშუალოდ: ეტყობა დეპეშებს განზრახ არ აგზავნიან.

24 ივნისს კანტონში უნდა მომხდარიყო დიდი დემონსტრაცია. **რეიტერის სააგენტოს ცნობით ჩინელებსა და კანტონის უცხოელთა უბანში დაბანაკებულ ჯარებს შორის მოხდა სროლა იმ დროს, როდესაც დემონსტრანტებმა გაიარეს ბრიტანეთის კონცესიის ადგილთან.** რეიტერის სააგენტო ცდილობს შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ სროლა დაიწყო ჩინელების მხრივ, თუმცა გადაჭრით ვერ ბედავს ამის მტკიცებას. რეიტერის სააგენტოს ცნობით ინგლისისა და საფრანგეთის მეზღვაურებმა მათ უპასუხეს ტყვიამფრქვევლებით; სროლა გაგრძელდა 20 წუთს. ეტყობა მიღებულია პროვოკაციული ზომები იმ მიზნით, რომ შექმნან ისეთი მდგომარეობა, რომელიც გაამართლებს აშკარა ინტერვენციას და გომინდანის მთავრობის ჩამოგდებას, რაც ვერ მოახერხეს გენერალ იანშიძინის და ლიუ-ჩჟენ-დუას მიერ ამას წინედ მომხდარ აჯანყების დროს.

დასასრულ რეიტერის სააგენტო აღნიშნავს, რომ **მოკლულია ერთი ფრანგი და დაჭრილია 4 ინგლისელი.** თუ რამდენი მსხვერპლი იყო ჩინელების მხრივ ამას არ აღნიშნავს.

ახალი ცნობები.

პეკინი, 24 ივნისი. გონკონგიდან მოსული უკანასკნელი დეპეშა რეიტერის სააგენტოსი იუწყება: მდგომარეობა კანტონში მეტად გამწვავებულია. ინგლისის საზღვაო სარდლობამ გასაფრთხილებელ ზომებს ღებულობს. მოელიან ახალ მღელვარებას. სამხედრო გემი „ელენა“ გონკონგიდან გაემართა კანტონისკენ. დემონსტრაციას 24 ივნისს კანტონში პირველად მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, სანამ დემონსტრატების ერთმა ნაწილმა მოულოდნელად სროლა არ აუტეხა უცხოელთა უბანს. 600 უცხოელ (ქალები და ბავშვები) გაემგზავრა გონკონგში.

საკითხი ვაჭრობის განახლების შესახებ

პეკინი, 24 ივნისი. შანხაიდან იტყობინებიან, რომ სავაჭრო პალატასა და ჩინეთის ორგანიზაციების გაერთიანებულ კომიტეტს შორის გრძელდება მოლაპარაკება ვაჭრობის განახლების შესახებ 26 ივნისიდან. მუშათა ორგანიზაციები თანახმა არიან დაუშვან მაღაზიების გახსნა განსაზღვრულ პირობებში, რომლებმაც უნდა გააძლიეროს ბოიკოტი და მთელი მოძრაობა მთლიანათ.

ფართო მასების შეიარაღება

პეკინი, 24 ივნისი. შანხაის გაერთიანებული კომიტეტი იხილავს საკითხს **მასების შეიარაღების საშუალებების შესახებ.** კომიტეტმა გადაწყვიტა გამოუშვას ბიულეტენი ჩინურ და ინგლისურ ენებზე, რომელშიაც გატარებული იქნება მასების შეიარაღებისა და იარაღის მოკრების იდეა. ამასთანავე იქ აღნიშნული იქნება ამ მიზნისათვის სპეციალური ფონდის შექმნის აუცილებლობა.

ასეთი მოძრაობა უკვე იწყება პეკინში. ეროვნული უნივერსიტეტის რამოდენიმე ასეული სტუდენტი უკვე შევიდა ჯარში. მრავალ სკოლებში დაიწყო სამხედრო სწავლება სტუდენტების ხელმძღვანელობით.

აშკარა სიმპათიები საბჭოთა კავშირის მიმართ

პეკინი. 24 ივნისი. მიუხედავად შანხაის მეზღვაურთა გაფიცვის გაფართოებისა, რის გამო იაპონიის რამოდენიმე კომპანია იძულებული იყო შეეწყვიტა რეისები შანხაიში, **საბჭოთა გემებისათვის, რომლებიც შანხაიში მიდიან არავითარი ზარალი არ მოაქვს გაფიცვას: მათი ტვირთების გადმოტვირთვა და დატვირთვა ხდება დაუყონებლივ.**

ფრანგი „სოციალისტები“ მხარს უჭერენ ომს მაროკოში

პარიზი, 25 ივნისი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის საღამოს სხდომაზე 23 ივნისს გამოვიდა სოციალისტების ლიდერი რენოდელი, რომელმაც ხაზი გაუსვა განსხვავებას კომპარტიის კოლონიალურ პოლიტიკასა და სოციალისტურ პარტიის პოლიტიკის შორის. რენოდელი დაჟინებით მოითხოვდა, რათა მთავრობამ კვლავ აღნიშნოს, რომ ის მშვიდობიან პოლიტიკას აწარმოებს.

განმარტებითი სიტყვა წარმოსთქვეს პენლევემ და ბრიანმა. განმარტებამ, როგორც სჩანს, დააკმაყოფილა სოციალისტები. სხდომის შეწყვეტის დროს სოციალისტებმა მემარცხენე ბლოკის სხვა ფრაქციებთან ერთად გამოიმუშავეს მემარცხენე ბლოკის რეზოლიუციის პროექტი. თათბირმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც გმობს აგიტაციას, რაც განსაცდელს უმზადებს საფრანგეთის ცივილიზაციას და მშვიდობიან ზრახვებს განხორციელების საქმეს.

რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ საფრანგეთის მთავრობა კისრულობს თავისთავზე ვალდებულებას თავის პოლიტიკაში შეათანხმოს საკითხი ხელშეკრულებათა პიციფისტების შესახებ რიფებს მშვიდობიან განვითარების საკითხთან.

რეზოლიუცია მიღებული იქნა პალატის მიერ 510 ხმით 10-ის წინააღმდეგ, 30 სოციალისტმა თავი შეიკავა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ლენინგრადის მუშათა ექსკურსია უცხოეთში

ლენინგრადი, 24 ივნისი. ჩრდილოეთ-დასავლეთის სამრეწველო ბიუროს ინიციატივით ეწყობა ლენინგრადის მუშათა ექსკურსიები უცხოეთში უცხოეთის ფაბრიკების დასათვალიერებლად. ექსკურსიაში მონაწილეობას ღებულობენ ინჟინრები. პირველი ექსკურსია მიდის შვეციაში, მეორე—გერმანიაში.

ინჟინერ მუშები. გამოშვება.

ოდესა, 24 ივნისი. შესდგა მუშათა ტეხნიკუმის ინჟინერების საზეიმო გამოშვება. ინჟინერის წოდება მიიღო 25 კაცმა. გამოშვებულები არიან მუშები, რომელთაც აქვთ დიდი საწარმოო სტაჟი.

საფრანგეთ-ბელგიის მუშების დელეგაციის მოლოდინში

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მდივანმა ამხ. გ. ყურულაშვილმა სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ საფრანგეთ-ბელგიის მუშათა დელეგაცია, რომელიც ამ ჟამათ მოგზაურობს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებში, კვირას, 28 ივნისს, ჩავა კავკავში, საიდანაც საქართველოს სამხედრო გზით გამოემგზავრება თბილისში.

დელეგაციას თან ახლავს სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენელი.

ამ ჟამათ დელეგაცია იმყოფება არტემოვსკში (**დონის ბასეინი**), სადაც ეცნობა სამთო-მადნო მუშების ყოფა-ცხოვრებას, ხელფასს და შრომის პირობებს. არტემოვსკიდან დელეგაცია გაემგზავრება დონის როსტოვში, იქიდან კი კავკავში.

საქართველოში დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია ადგილობრივი მუშების ყოფა-ცხოვრების და შრომის პირობების გაცნობა.

დელეგაცია აქ დაათვალიერებს ფაბრიკა-ქარხნებს და სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებს, რის შემდეგაც გაბრუნდება მოსკოვში, იქიდან კი თავის ქვეყნებში.

დელეგაციის ჩამოსვლა თბილისში მოსალოდნელია ორშაბათს ან სამშაბათს.

გერმანელ ფაშისტ სტუდენტების საქმე

მოსკოვი. 25 ივნისი. უზენაეს სასამართლოს სპეციალურ სხდომაზე დაიწყო გერმანელ ტერორისტების—კინდერმანის, ვოლშტის და დიტმანის საქმის განხილვა.

სხდომის დარბაზი სავსეა ხალხით. დამსწრეთა შორის არიან ოტტო პოლი, ავსტრიის ელჩი და გერმანიის საქმეთა რწმუნებული გაა.

თავმჯდომარე აცხადებს დამცველთა შემადგენლობას, რომელშიაც შედიან ოცეპ-დიტმანის დამცველი და დუხოვსკი—კინდერმანის დამცველი. ვოლშტმა უარი განაცხადა დამცველის აყვანაზე და თვითონ იკისრა თავის დაცვა.

მოწმეები.

თავმჯდომარე აქვეყნებს მოწმეთა სიას. ზოგიერთი მოწმეები არ გამოცხადდენ, რადგან ამ ჟამად მოსკოვში არ იმყოფებიან. არ გამოცხადდა გერმანიის საელჩოს მრჩეველი გილგერი. გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის ცნობით უცხოეთის საელჩოების ექსტერიტორიალობის უფლების ძალით გილგერს შეუძლია მისცეს ჩვენება მისთვის ხელსაყრელ პირობებში.

რაც შეეხება მოწმე ნეიმანს, გერმანიის კომპარტიის ცნობილ წევრს, ბრალმდებელნი სთვლიან მის ჩვენებას განსაკუთრებით მნიშვნელოვანად, რადგან მან უნდა გააშუქოს მდგომარეობა გერმანიაში რევოლიუციის დროს, რაზედაც ლაპარაკია საბრალმდებლო დასკვნის პირველ ნაწილში. ამ საბრალმდებლო დასკვნის ეს ნაწილი მნიშვნელოვანია არა მარტო ისტორიული თვალსაზრისით, არამედ იგი სისწორით აშუქებს ფაქტებს. ბრალმდებელნი მოითხოვენ, რათა ნეიმანი გამოძახებული იქნას, როგორც ექსპერტი და არა როგორც მოწმე.

ბრალდებულთა განცხადება.

ბრალდებული კინდერმანი აცხადებს, რომ ის წინააღმდეგი არ არის საქმის გარჩევისა მოწმეთა დაუსწრებლათ.

ბრალდებული ვოლშტი არ ილაშქრებს საქმის გარჩევის წინააღმდეგ და მოულოდნელად აცხადებს, რომ ბრალდებული, რომელზედაც ლაპარაკია საბრალმდებლო აქტში, არის არა ის, არამედ სხვა და სთხოვს სასამართლოს დაიწყოს საქმე ნამდვილ ბრალდებულის წინააღმდეგ, ხოლო მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება გააუქმოს.

სასამართლო განმარტებას აძლევს ბრალდებულს, რომ მომავალი სამოსამართლო კვლევა-ძიება შეამოწმებს წინასწარ გამოძიების ფაქტებს და აგრეთვე იმას, თუ რამდენად სწორია ბრალდებულის განცხადება.

ფაშისტური თავხედობა.

ბრალდებული კინდერმანი აცხადებს, რომ მან საბრალმდებლო აქტზე არსებულ ხელისმოწერის დროს ის მიხვდა, რომ მის წინაშე არის ოფიციალური დოკუმენტი. ამ ქაღალდს რომ ოფიციალური ხასიათი არ ჰქონოდა, ის იფიქრებდა, რომ მას „ჩააბარეს არანორმალურ ადამიანების მიერ შედგენილი დოკუმენტი“.

15 წუთით სხდომის შეწყვეტის შემდეგ სასამართლო აკმაყოფილებს ბრალმდებელთა შუამდგომლობას ნეიმანის, როგორც ექსპერტის, გამოძახების შესახებ და გერმანიის საელჩოს მრჩეველის გილგერის ჩვენებას სთვლის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად საქმისათვის. დანარჩენ მოწმეთა გამოუცხადებლობის მიზეზს სასამართლო სთვლის საპატიოთ და შესაძლებლათ მიაჩნია საქმის განხილვა მათ დაუსწრებლათ. თავმჯდომარე აცხადებს, რომ მოწმეები ფანკი და რომი, გერმანიის საქმეთა რწმუნებულის ცნობით, ჩამოვლენ 25 ივნისს.

ბრალდებული კინდერმანი დაუსაბუთებელი მოსაზრებით ეხება მოწმეთა გამოძახების საკითხს და ცდილობს ძილი შეუშალოს სასამართლოს მუშაობას. შემდეგ კინდერმანი აცხადებს, რომ წინასწარ გამოძიების მიერ მიცემული ყველა ჩვენებანი გერმანიის საელჩოს მრჩეველის გილგერის და, საერთოთ, ყველა მისი ჩვენებანი სწორი არ არის, ვინაიდან ის იმყოფებოდა მოწმე ბაიმანის ზეგავლენის ქვეშ.

თავმჯდომარე აქვეყნებს საბრალმდებლო აქტს, რის შემდეგ იწყება ბრალდებულთა დაკითხვა. კინდერმანი არ სცნობს თავს დამნაშავეთ, ხოლო დიტმანი სავსებით აღიარებს თავის დანაშაულს. ბრალდებული ვოლშტი უარყოფს ბრალდებას.

სხდომა იხურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქიათურის შავი ქვის კონცესიის შესახებ

ამხ. შალვა ელიავას მოხსენება

საქართველოს პროფსაბჭოს გაფართოებულ პლენუმზე

ჰარიმანის კონცესია ქიათურის შავ ქვაზე,—განაცხადა მომხსენებელმა, ჩვენი საზოგადოების და პარტიის ჯგუფებში იწვევს სხვადასხვა გვარ მითქმამოთქმას. ბევრისათვის გარკვეული არ არის ამ კონცესიის მნიშვნელობა, არ ესმის სარგებლობას მოუტანს ეს კონცესია ჩვენს ხალხს თუ დაზარალებს. ზოგს კიდევ მავნებლად მიაჩნია ჩვენს ქვეყანაში უცხო კაპიტალის შემოშვება.

ამ კონცესიაზე სწორი შეხედულების გამოსამუშავებლად და მისი სისწორით შესაფასებლად საჭიროა საქმის ვითარების გარკვევა და ნათლად გათვალისწინება.

კონცესიები ბოლშევიკების მოგონილი არ არის. წინად—მეფურ რუსეთში მთელი რიგი სამრეწველოებისა გადაცემული ჰქონდათ უცხოელებს, რომელთაც გასაბჭოების შემდეგ წაერთვათ სამრეწველოების ექსპლოატაციის საშუალება. უცხოელების ინტერვენციები საბჭოთა ქვეყნებში სწორედ იმ მიზნით იყო წარმოებული, რომ დაებრუნებიათ საკონცესიოთ აღებული სამრეწველოები. აქაური ბურჟუაზიაც ხელს უწყობდა ინტერვენტებს, რადგან ეს კონცესიები დადებული იყო მშრომელთა სურვილების გარეშე შეძლებული კლასების სასარგებლოდ.

კონცესია ჩვენი ქვეყნისათვის ახალი ამბავი არ არის, მაგრამ ახალი არის ის, რომ იგი იდება ჩვენი მშრომელი ხალხის სასარგებლოდ. საბჭოთა ხელისუფლებისათვის კონცესია ჩვენი მეურნეობის აღსადგენად წარმოებული მუშაობის პროგრამის ერთი მუხლთაგანია.

ქიათურის კონცესიას აქვს ჩვენთვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ის აუცილებლად სარგებლობას აძლევს ჩვენს მოპირდაპირე მხარეს მაგრამ ისიც ცხადია, რომ იგი აძლიერებს ჩვენს სახალხო მეურნეობას, ხელს უწყობს ჩვენი მრეწველობის განვითარებას.

ქიათურის შავი ქვა ისეთი საქონელია, რომელიც ჩვენში არ იხმარება, მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მსოფლიო ბაზრისთვის, სადაც მარგანეცის დიდი მოთხოვნილება არის. მსოფლიო ბაზარზე რომ სხვა ქვეყნების მარგანეცისათვის ჩვენ კონკურენცია გაგვეწია, საამისოდ საჭირო იყო შავი ქვის დამუშავების მოწყობა და მისი მოპოვების ტეხნიკის გაუმჯობესება. მიუხედავათ ჩვენი მეურნეობის ზრდისა, ჩვენ საშვალება არ გვქვს შავქვაზე დიდი კაპიტალი დავხარჯოთ, რადგან გვიხდება ბევრი გადაუდებელი საჭიროების დაკმაყოფილება.

მაგრამ მხოლოო ამ მოსაზრებით ჩვენ არ დავთანხმდებოდით ამ კონცესიაზე, რომ იგი არ იძლეოდეს ჩვენთვის მეტად სასარგებლო კომერციულ-ეკონომიურ შედეგს.

არა ნაკლები საინტერესოა საკითხი, თუ რად დასთანხმდა ჰარიმანი და კომპანიას ხელი მოეწერა ამ კონცესიაზე?

ომის განმავლობაში ამერიკა გაბატონდა ლითონის ბაზარზე. დღეს მას არ სურს ხელიდან გაუშვას ბატონობა, ხოლო ქიათურის კონცესიათ აღება მას საშუალებას აძლევს განამტკიცოს პოზიციები მსოფლიო ბაზარზე და კონტროლი გაუწიოს მთელი ქვეყნის ლითონის მრეწველობას.

რას იგებს კერძოთ ჩვენი ქვეყანა—საქართველო ამ კონცესიით? უპირველეს ყოვლისა ვითარდება ჩვენი საწარმოო ძალები, უმჯობესდება შავი ქვის მოპოვების ტეხნიკა, კეთდება ახალი რკინის გზები, შენდება გადასაზიდი საშუალებანი, იგება ელევატორები და სხვა. ერთი სიტყვით, ხდება მრეწველობის [illegible] ზრდის შრომის ნაყოფიერების.

შავი ქვის ძველი პრიმიტიული წესით მოპოვების დროს, ჩვენ ვკარგავდით მოპოვებულ მადნის 45 პროცენტს გაუმჯობესებული ტეხნიკით მოსახერხებელი გახდება წლიურად ნაცვლად 30 მილიონისა,—50 მილიონი ფუთის გატანა.

20 წლის განმავლობაში ამერიკელებმა უნდა გამოიტანონ 16 მილიარდი ტონა შავი ქვა. პირველ სამი წლის განმავლობაში თვითეულ ტონა საქონელზე იხდიან 3 დოლარს, ხოლო ტონა პეროქსიდზე 8 მანეთს, შემდეგ წლებში კი უფრო მეტს.

მესამე მოგება ის არის, რომ კონცესია გააფართოებს რა წარმოებას, მიიზიდავს დიდძალ მუშა ხელს, გაუხსნის ბაზარს სამუშაო ძალას. კონცესიონერები ვალდებულნი არიან დაიცვან შრომის ინტერესები ჩვენი საბჭოთა კანონმდებლობის თანახმად.

ამგვარად, კონცესია ერთი-ორად ზრდის ჩვენს შემოსავალს, აძლიერებს ქვეყნის საწარმოო ძალებს, ადიდებს ჩვენი გლეხის და მუშის მყიდველობით უნარიანობას. ამ კონცესიით იქმნება ბაზა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული წინსვლელობისათვის.

ჩვენი მუშების ვალია,—დაასრულა მომხსენებელმა, ხელი შეუწყონ მთავრობას ხელშეკრულების შესრულებაში და ამასთანავე მზად იყვნენ თავის ქვეყნის ინტერესების დასაცავად, თუ კონცესიონერები დაარღვევენ დადებულ პირობას.

შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ ქიათურის მუშების წარმომადგენლის წინადადებით პროფსაბჭოს პლენუმი იღებს რეზოლიუციას, რომელიც იწონებს მთავრობის მიერ ჰარიმანის და კამპანიასთან დადებულ საკონცესიო ხელშეკრულებას.

პარტიული ცხოვრება

რ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტში

სოფლად გასაგზავნ პროპაგანდისტების შესახებ

მოსკოვი, 25 ივნისი. სოფლად პროპაგანდისტების შემადგენლობის გადახალისების და პარტგანათლების ქვედა საფეხურის დაწესებულებების მუშაობის გაცხოველების მიზნით სოფლათ იგზავნება რამდენიმე ათასი პროპაგანდისტი. ც. კ. წინადადებით პარტკომებმა სოფლად გასაგზავნი პირების შერჩევის დროს უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი მოსაზრებებით: გასაგზავნი პირი უნდა იყოს პოლიტიკურად მტკიცე. მას უნდა ჰქონდეს საკმაო პოლიტიკური ცოდნა და პოლიტ-განმანათლებელი და პროპაგანდისტული სტაჟი.

მუშაკთა სწორი განაწილების მიზნით, ცეკა წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, უახლოეს ხანში მოახდინონ სწორი გამორკვევა სოფლის პოლიტიკურ-საგანმანათლებლო და პარტიულ საგანმანათლებლო ორგანოებში საჭირო პირთა რაოდენობისა დაასახელონ სწორი ციფრი საჭირო მუშაკებისა და შეატყობინონ ცენტ. კომიტეტს აგრეთვე თუ მუშაკების რა რაოდენობის და როგორი კვალიფიკაციის მქონეთა გამოყოფა შეიძლება ადგილობრივად იმ პროპაგანდისტთა რიცხვიდან, რომლებმაც უკვე გაიარეს პარტიული სკოლები.

ც. კ. საჭიროდ სთვლის რომ ყველა ამხანაგებმა, რომლებიც გამოყოფილნი არიან ადგილობრივ პროპაგანდისტთა წრიდან სოფლის პოლიტცოდნის სკოლების სახელმძღვანელოთ, თუნდაც მათ ჰქონდეთ წარსულში საპროპაგანდო მუშაობის სტაჟი, გაიარონ მოკლევადიანი საზაფხულო კურსები სოფლის პროპაგანდისტებისათვის. ეს კურსები უნდა მოეწყოს საგუბერნიო და საოლქო კომიტეტების სააგ.-საპროპაგანდო განყოფილებებთან. კურსები უნდა მოეწყოს სამი თვის ვადით.

ცენტრალურ და ადგილობრივ ბეჭდვითი ორგანოებს, ცენტ. კომიტეტი წინადადებას აძლევს აწარმოონ ფართე აგიტაცია სოფლად საპროპაგანდო სამუშაოზე თავის ნებით წასვლის სასარგებლოთ.

თელავის ორგანიზაციის ცხოვრებიდან

ცენტრისაგან საკმაოთ დაშორების გამო ადგილობრივად მომუშავე ამხანაგები ძალიან მოისუსტებენ მიმდინარე საკითხების გაგებაში, თუმცა წევრების დიდი უმრავლესობა დღის-დღეობით მინდვრად მუშაობაში არიან ჩაბმული, მაგრამ მათი კრებებზე დასწრება ამით მაინც და მაინც არ ფერხდება. სოფლის კომუჯრედებში იშვიათად იმართება დახურული კრებები, ვინაიდან ამით უპარტიო გლეხკაცობა თანდათანობით შორდება უჯრედის საქმიან მუშაობას.

დღეს 60 პროც. დამსწრეებისა უმთავრესად უპარტიო გლეხები და სოფლის დედაკაცები არიან.

ცოტათი მოიკოჭლებს ჩვენი ორგანიზაციების საშეფო მუშაობა თელავში, მაგალითად სოფელ შაშიანზე, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფ. კომუჯრედს აქვს აღებული შეფობა, მაგრამ სამწუხაროდ არავითარი კულტურული ხელმძღვანელობა არ სჩანს ამ ტელეგრაფის კომუჯრედის მხრივ.

კ. მ.

რეზოლიუცია

რ. კ. პ. ა.-კ. საოლქო კომიტეტთან გამართულ თათბირსა პრაქტიკულ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად მე-14 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის

(დამტკიცებულია ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1925 წ. 24 ივნისს)

მოისმინა რა მოხსენებები ადგილებიდან პარტიული მუშაობის მდგომარეობის შესახებ და განიხილა რა პარტიული აღმშენებლობის საკითხები, ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების თათბირი, რომელსაც დაესწრენ. აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას, აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ბაქოს კომიტეტის, ყარაბახის და ნახიჩევანის საოლქო კომიტეტების, აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) განჯის, კუბის, აღდაშის და შამხორის სამაზრო კომიტეტების, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის (ბ) აფხაზეთის, აჭარისტანის, სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტების და ახალციხის და ქუთაისის სამაზრო კომიტეტების, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცეკას, სომხეთის კომპარტიის (ბ) ერევანის კომიტეტის და ლორი-ბამბაკის სამაზრო კომიტეტის წარმომადგენლები, იღებს რა ურყევ სახელმძღვანელოთ და შესასრულებლათ მე-14 პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებს, აყენებს შემდეგ პრაქტიკულ ღონისძიებებს მათ გასატარებლათ ცხოვრებაში.

I. პარტიული ორგანიზაციებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის სფეროში

1. პარტიამ სისტემატიური ახსნა-განმარტების კამპანია უნდა აწარმოოს პარტიულ და უპარტიო მასებს შორის, იმ მიზნით, რომ მათ სწორათ შეითვისონ იმ მორიგი ამოცანების ძირითადი აზრი, რომლებიც ჩამოყალიბებულია მე-15 პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებში.

2. ყველა პარტკომებმა უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ უფრო ხშირი და რეგულიარული ცოცხალი კავშირი დაამყარონ ქვედა საფეხურის პარტიულ ორგანიზაციებთან: აქტივის თათბირი, მუშაობის სხვადასხვა დარგების უჯრედთა თათბირი, დაზგასთან მდგომ მუშა-კომუნისტების თათბირი და სხვა; ორგანიზაციების დათვალიერება პარტკომების წევრებისა, პასუხისმგებელი მუშაკებისა და ინსტრუქტორების მიერ, რომლებმაც ორგანიზაციებს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია პარტიული და პოლიტიკური საკითხების შესახებ.

3. ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებით სასტიკად უნდა დაიცვან პარტიული კონფერენციის რეზოლიუციები უპასუხისმგებლო **მბრძანებლობის** დაუშვებლობის შესახებ, რასაც ეწინააღმდეგება ჩვენი პარტიული პრაქტიკა, რომელიც ძირიანად შეცვლილი უნდა იქნეს **ხელმძღვანელობის მეთოდით.**

4. მუშაობის გაძლიერებამ უპარტიოთა შორის და მათმა ჩაბმამ არჩეულ ორგანოებში პარტიის ზოგიერთ წევრებში, განსაკუთრებით სოფლად, შექმნა გზააბნეულობის სულიერი განწყობილება, რომელიც ზოგან იქამდი მიდის, რომ ამხანაგები უარს ამბობენ ხელმძღვანელობა გაუწიონ უპარტიო მასის შორის წარმოებულ მუშაობას და ხმა მისცენ პარტიულ კანდიდატურებს. ახალი კურსის ასე ცუდათ გაგება გადაჭრით ეწინააღმდეგება პარტიის ხაზს. პირიქით, ეხლანდელი მომენტი მოითხოვს პარტიული უჯრედების მუშაობის გამოცოცხლებას და ყველა მისი წევრების აქტივობას.

5. აუცილებელია უჯრედების მუშაობა ძირიანათ შეიცვალოს იმ მხრივ, რომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს არა საერთო-პოლიტიკურ საკითხებს, არამედ უმთავრესად იმ საკითხებს, რომლებიც ეხება სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებას. წყალის, ტყის, მიწის, გადასახადების, სკოლების, საავადმყოფოების, გზების და სხვა საკითხებს.

6. მრავალ ორგანიზაციებში არის შემთხვევები, როდესაც სოფლის საბჭოს ფუნქციებს ითვისებენ სოფლის პარტუჯრედები. სოფლის პარტუჯრედები იხილავენ საკითხებს, გამოაქვთ გადაწყვეტილებები და სოფლის საბჭოს თავმჯდომარის უბრალო ხელის მოწერით აქვეყნებენ მათ, როგორც საბჭოს დადგენილებას. ასეთივე მოვლენებს აქვს ადგილი უფრო მაღლა მდგომ პარტიულ ორგანიზაციებში. ფუნქციების ასეთი მითვისება სრულებით ადუნებს საბჭოების მუშაობას და მათ ხდის უსიცოცხლო ბიუროკრატიულ ორგანოებათ.

სთვლის რა სრულიად დაუშვებლათ პარტიის და საბჭოების მუშაობის ასეთ დამახინჯებას, თათბირი წინადადებას იძლევა:

ა) მიღებული იქნეს ყველა ზომები, რომ გამოცოცხლებული იქნეს საბჭოების მუშაობა და მათი კავშირი მასებთან, რისთვისაც დასმული უნდა იქნეს საბჭოების დღის წესრიგში მნიშვნელოვანი სამეურნეო, საფინანსო, საგადასახადო, საავადმყოფოების, სკოლების, გზების და სხვა საკითხები.

ბ) გადაწყვეტილებები გამოტანილი უნდა იქნეს მხოლოდ იმის შემდეგ, როცა დაწვრილებით განხილული იქნება დღის წესრიგში დასმული საკითხები.

7. აღნიშნავს რა დიდ მიღწევებს მე-12 პარტიული ყრილობის მიერ ნაციონალური საკითხის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებების პრაქტიკული განხორციელების სფეროში, თათბირი ამასთან ერთად აღნიშნავს მთელ რიგ ნაკლულევანებებს და გადახრას, რომლებიც დაშვებული იყო ჩვენი მრავალეროვნებებიანი შემადგენლობის რესპუბლიკების ცალკე მაზრებში და ოლქებში ეროვნულ უმცირესობათა მოთხოვნილებების, საჭიროებების და უფლებების მიმართ.

თათბირი წინადადებას აძლევს რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები იმისათვის, რომ სავსებით უზრუნველყოფილი იქნეს ეროვნულ უმცირესობათა უფლებები და მათი მატერიალურ-კულტურული მოთხოვნილებები.

II. საბჭოთა მუშაობის დარგში

1. ვინაიდან საბჭოების მუშაობა სოფლად მოისუსტებს და არ არსებობს დებულება საბჭოების შესახებ,

ა) აუცილებლად საჭიროთ იქნეს ცნობილი საბჭოთა აპარატის შესახებ (სოფლის საბჭოები, თემის საბჭოები, დაირები, საუბნო აღმასკომი, ქალაქის აღმასკომი) დებულების სასწრაფო წესით გამომუშავება;

ბ) საჭიროდ ჩაითვალოს მომავალ 25—26 საბიუჯეტო წელში სისწორით განისაზღვროს თემის, დაირის, საუბნო აღმასკომის საბიუჯეტო უფლებები.

გ) საბჭოთა ქვედა აპარატის მომზადებული მუშაკების რიცხვის სიმცირის გამო, რესპუბლიკანურ ცენტრალურ კომიტეტების დამკვრელ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს მოკლევადიან კურსების მოწყობა სოფლის საბჭოების, დაირას და საუბნო აღმასკომების მდივნების მოსამზადებლათ.

დ) [illegible] საბჭოებმა გლეხთა ფართე კრებების და თათბირების მოწყობით მონაწილეობა უნდა მიიღონ [illegible] მეურნეობათა სწორათ აღრიცხვაში და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაწილებაში.

2. [illegible] სესიების მუშაობა სუსტია, საჭიროდ იქნეს ცნობილი ამ სესიების რეგულიარულად მოწვევა.

3. რესპუბლიკანურ ცაკების პრეზიდიუმების მუშაობის პრაქტიკაში შემოღებულ უნდა იქნეს სამაზრო, თემების, დაირას და საუბნო-აღმასკომების და სოფლის საბჭოების მოხსენებათა მოსმენა.

4. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს დაუყოვნებლივ განახორციელონ რ. კ. პ. (ბ.) ც. კ. ოქტომბრის პლენუმის დადგენილება კომისარიატების შეყვანის შესახებ.

III პროფესიული მუშაობის დარგში

5) ა) ყოველმხრივ გაძლიერებული და განვითარებული უნდა იქნეს პროფკავშირების ქვედა-აპარატის მუშაობა.

ბ) გაუმჯობესებული უნდა იქნეს საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების, მათთან არსებული კომისიების, საერთო და სადელეგატო კრებების მუშაობა.

6. პროფკავშირების მასიურ მუშაობაში მთავარ მომენტს უნდა წარმოადგენდეს მუშების მატერიალური, კულტურული და უფლებრივი ინტერესების დაცვა, სახელდობრ:

ა) სწორათ და თავის დროზე გადაჭრა იმ საკითხების, რომლებიც დაკავშირებული არიან კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულებასთან, საბინაო საკითხების მოგვარებასთან, შრომის დაცვის საკითხთან, კულტურულ-განმანათლებელ მუშაობასთან, საექიმო დახმარების საქმის მოწყობასთან;

ბ) ხელის შეწყობა საკონფლიქტო ორგანოებში, შრომისა და საბინაო სასამართლოებში საკითხების განხილვის დაჩქარებისათვის, ყურადღებით მოპყრობა უმუშევართა საჭიროებისათვის და სხვა.

7. მტკიცედ უნდა იქნეს დაცული პროფორგანოების არჩევითი წესის პრინციპი, დაშვებული არ უნდა იქნეს ზევიდან დანიშვნა, კანდიდატების თავზე მოხვევა და სხვა.

8. პროფკავშირების მუშაობა სოფლად საერთო პროფესიული მუშაობის შემადგენელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. ეს მუშაობა ხელს უნდა უწყობდეს სოფლის დაქირავებული მუშების ორგანიზაციის განვითარებას და გამაგრებას.

IV. პარტშემადგენლობის გაუმჯობესების და პარტიის ზრდის მოწესრიგების დარგში

1. მეთოთხმეტე პარტკონფერენციის დადგენილების თანახმად სოფლის უჯრედები უნდა შეივსოს სოფლის დაქირავებული მუშების (ბატრაკების), ულარიბესი გლეხების რევოლიუციონურად მტკიცე და პოლიტიკურად მომზადებული ნაწილით, პარტიასთან ყველაზე უფრო ახლო მდგომი საშუალო გლეხებით; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამხედრო სამსახურ მოხდილ გლეხ წითელარმიელების და სოფლის მასწავლებლობის მიღებას.

2. აღიარებული იქნეს, რომ სოფლად არსებული საკანდიდატო ჯგუფები არ სარგებლობდენ უჯრედების უფლებით, მათი სათანადო წესით ჩამოყალიბებამდე.

3. საჭიროთ იქნეს ცნობილი სოფლის პარტაპარატის წყობის გადასინჯვა ამიერ-კავკასიაში, სამაზრო კომიტეტებსა და სოფლის ქვედა საფეხურის უჯრედებ შორის—დამაკავშირებელი ორგანოების (თემკომები, დაირა, საუბნო კომიტეტები) დაუყოვნებლივ შექმნის გზით. ეს ორგანოები არჩეული უნდა იქნენ 6 თვის ვადით.

V. მუშაობა კომკავშირელებსა და პიონერებს შორის

თათბირი აღნიშნავს ერთის მხრით მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის საგრძნობ ზრდას და ძლიერ ლტოლვას კომკავშირში და პიონერთა ორგანიზაციებში და, მეორე მხრით,—მათ არა საკმაო პოლიტიკურ აღზრდას და ისეთ უარყოფითი მოვლენების არსებობას კომკავშირელებს შორის, როგორიც არის მედიდურობა და კომკავშირული ყოყოჩობა, ავადმყოფური გადახრა ადმინისტრატორობისაკენ და ჩამოშორება სასოფლო-სამეურნეო მუშაობისაგან; ამის გამო თათბირი საჭიროდ სთვლის, რომ პარტორგანოებმა დააწესონ სწორი და სისტემატიური ხელმძღვანელობა და კონტროლი აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებაზე კომკავშირში და პიონერთა ორგანიზაციებში.

გამოდის რა აქედან, თათბირი საჭიროდ სთვლის შემდეგ პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარებას:

1. კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციების ზრდა, განსაკუთრებით სოფლად, სწარმოებდეს გლეხური ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილის ხარჯზე, ხოლო პიონერთა ორგანიზაციებისათვის—სხვა სოციალურ წრეების ხარჯზედაც. ამავე დროს გაძლიერებული და განმტკიცებული იქნეს კომკავშირი ღარიბ და მოჯამაგირე გლეხებით უჯრედებსა და კოლექტივებში.

2. მოწესრიგებული იქნეს კომკავშირის ორგანიზაციების მოხსენებების და ანგარიშების წესიერად და რეგულიარულად მოსმენა ქვევიდან (უჯრედიდან) ზევით (სამაზრო კომიტეტი, ცეკა) პარტიის მიერ და შემუშავებული იქნეს ანგარიშების მიხედვით სათანადო პარტიული დირექტივები.

3. დაწესდეს და სადაც არის განმტკიცებული იქნეს წარმომადგენლობანი კომუჯრედისა, სამაზრო კომიტეტებისაგან, აგრეთვე სამაზრო კომიტეტის კომკავშირის უჯრედისაგან და სხვ.

4. სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს ყოველგვარ გადახრას ადმინისტრატიულ საქმეებში ჩარევისაკენ კომკავშირის უჯრედების მხრივ.

5. აუცილებლად გაძლიერებული უნდა იქნეს პარტიული ნაწილი კომკავშირში, პარტიულები ფართოდ უნდა იქნენ ჩაბმული კომკავშირის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში ადგილი არ უნდა ექნეს მათ მოწყვეტას როგორც კავშირის, ისე პარტიისაგან და მათ უნდა ევალებოდეს უჯრედების, რაიონის და სხვ. კრებებზე რეგულიარულად დასწრება.

6. პარტიამ კომკავშირის კომიტეტების საშუალებით სისწორით უნდა უხელმძღვანელოს მუშაობის გეგმიანად დაყენებას ორგანიზაციაში, ყოველმხრივ გვერდი უნდა აუხვიოს ზედმეტი კამპანიების, კონფერენციების და სხვ. ჩატარებას.

7. რ. კ. პ. (ბ) ცეკას და მე-14-ე პარტკონფერენციის დადგენილებების მიხედვით, გატარებული უნდა იქნეს კომკავშირის უჯრედებთან და კომიტეტებთან ერთად გადამჭრელი ზომები კომკავშირის და პიონერთა აქტივის განსატვირთავად, თავიდან იქნეს აცილებული ზედმეტი კომისიები, კამპანიები, სხდომები და სხვ., განაწილებულ იქნეს ეს მუშაობა კომკავშირის წევრების და პიონერების მთელს მასას შორის და ამავე დროს მიღებული იქნეს ზომები აქტივის ჯანმრთელობის დაცვისა და ნორმალური განვითარებისათვის.

8. გაცემული იქნეს პარტიული დირექტივი, რომ გადიდებული იქნეს მრეწველობაში შეგირდების რიცხვი დაწესებულ პროცენტამდე.

9. დიდი ყურადღება მიექცეს ბეჭდვითი სიტყვის ხელმძღვანელობას პარტკომის მიერ, რისთვისაც მოსმენილი უნდა იქნეს რედაქციის მოხსენებები ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებებში, გამოყოფილ იქნენ სპეციალური ამხანაგები ამ განყოფილებებში მასალების მისაცემად, გაეწიოს ნივთიერი დახმარება კომკავშირის კომიტეტთან შეთანხმებულად ახალგაზრდა კორესპონდენტების შემოკრებას გაზეთის გარშემო და სხვ.

VI. მუშაობა წითელ არმიაში

1. ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების წინაშე დასმულია მნიშვნელოვანი ამოცანები—ნაციონალურ ჯარის ნაწილების შექმნა.

თათბირი ამ ამოცანების შესასრულებლათ საჭიროდ სთვლის შემდეგ ღონისძიებების გატარებას ახლო მომავალში:

ა) მომავალ ტერიტორიალურ ნაწილების შეკრების დროს მიღებული უნდა იქნეს ზომები იმისათვის, რომ ყოველმხრივი დახმარება გაეწიოს ტერიტორიალურ ნაწილებს პოლიტიკური მუშაკების მიწოდების მხრივ. გაძლიერებულ იქნეს სრულ კომპლექტამდე ნაციონალურ ნაწილების პოლიტიკური შემადგენლობა, რისთვისაც პარტკომებმა მობილიზაცია უნდა უყონ პარტიის ყველაზე უფრო მომზადებულ წევრებს;

ბ) რადგან არმიის პოლიტშემადგენლობა განსაზღვრულია, არამი-

საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების
დასამუშავებლად
საქართველოს ცაკთან დაარსებული
თათბირი
მოწვეულია 1925 წლის 5 ივლისისათვის

თათბირის დღის წესრიგი:

1. სათემო საბჭოს და თემის მოქალაქეთა საერთო კრების დებულება.
2. სამაზრო ქალაქის საქალაქო საბჭოს დებულება.
3. ცოცხალი და წერილობითი კავშირისა და ხელმძღვანელობის საკითხები.
4. რევოლიუციონური კანონიერების შესახებ.
5. საბიუჯეტო საკითხები.
6. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

თათბირის გახსნის დრო და ადგილი გამოცხადდება

თათბირის პრეზიდიუმი.

ა.-კ. კოოპერატიული თათბირი

ა.-კ. კოოპერატ. კავშირის საგარეო ვაჭრობის გეგმა

(მომხსენებელი ამხ. დარჩია)

დღემდე ა. კ. კოოპერაციას არ ჰქონდა უფლება და არც უწარმოებია საიმპორტო საქონლით ვაჭრობა. ამიერიდან მომხმარებელ კოოპერაციას უნდა მიენიჭოს უფლება იმ საიმპორტო საქონლის კოოპერატიული კონტრაგენტის, რომელიც ა. კ. კოოპერაციისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

საიმპორტო გეგმის შედგენისა და შესრულების დროს, ფართო მოხმარების საგნებს გარდა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასიური ხასიათის სასოფლო-სამეურნეო იარაღების (სახნისი, ნამგლები, ცელები და სხვ.) და დამხმარე ინვენტარის შემოტანას იმ მიზნით, რომ ამაღლებულ იქნეს კოოპერატივებში გაერთიანებული მოსახლეობის მეურნეობის საწარმოო ძალები.

მთელი ა. კ. მომხმარებელი კოოპერაციის წინაშე სდგას ამოცანა—გაძლიერებულ იქნეს სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების კოოპერატიული ექსპორტი იმ მოსაზრებით, რომ კოოპერაციის საიმპორტო საჭიროებანი დაკმაყოფილებულ იქნეს იმ საექსპორტო ოპერაციებით, რომლებიც ა. კ. კოოპერაციამ უნდა აწარმოოს.

ყველა ეროვნული კოოპერატიული ცენტრი და ცენტრალური მუშათა კოოპერატივები, რომლებთაც სურთ შესაძლებლობა მიიღონ იმპორტში, მოვალე არიან შეიტანონ განცხადება მათთვის საჭირო საქონელზე, თუ სურთ უპირატესობა მიენიჭოთ უცხოეთიდან შემოტანილ საქონლის მიღებაში.

საგარეო ვაჭრობის წარმატებით საწარმოებლად, თათბირს საჭიროდ მიაჩნია იყოლიოს ევროპაში წარმომადგენელი, რომელმაც უნდა იკისროს ა/კ. კოოპერაციის მიერ დაკისრებულ ამოცანების შესრულება „ცენტროსოიუზის“-ს აპარატის საშუალებით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება უნდა ჩატარდეს ა/კ. ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირთა უშუალო ხელმძღვანელობით და კოოპერატივთა ძირითადი ქსელის საშვალებით. დამზადება უნდა სწარმოებდეს იმ ფასებში, რომელსაც საბჭოთა კავშირის მომხმარებელი რაიონების და უცხოეთის ბაზრების საბაზრო კონიუნქტურასთან შეფარდებით დააწესებენ დაინტერესებული ორგანიზაციები. ამასთანავე მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ დაინტერესებულ იქნეს მწარმოებელი გლეხი მით, რომ კოოპერატივების საშუალებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღება უფრო მეტ მოგებას მისცემს.

ყოველგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული დასამზადებელ ოპერაციებზე დანართი ხარჯების შესამცირებლად და დამზადების ტეხნიკის გასაუმჯობესებლად.

დამამზადებელ ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ დასამზადებელი ოპერაციების წინასწარი გეგმა: თავის დროზე უნდა შეისწავლონ დამზადების და გასაღების რაიონები და გამოარკვიონ დასამზადებელი პროცედურის ყველა წვრილმანი გარემოებანი.

საამისოდ კი საჭიროა ადგილებზე იმართებოდეს პერიოდულად რაიონული თათბირები მომხმარებელ და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენელთა თანდასწრებით და კოოპ. ცენტრების ხელმძღვანელობით.

კოოპერატიულ ეროვნულ ცენტრებს უნდა დაევალოს დაამუშაონ მომავალ სამეურნეო წლისათვის სეზონების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების გეგმა, ხოლო „ზაკსოიუზ“-მა შეძლებისდაგვარად ფინანსიური დახმარება უნდა გაუწიოს ეროვნულ ცენტრებს თანხების მიწოდებით და აგრეთვე საზღვარგარეთ და რუსეთში ბაზრების გამონახვით.

ამავე დროს ეროვნულ ცენტრებს უნდა მიენიჭოთ უფლება აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბეწვეულის პროდუქტების დამზადებაში.

იმ კოოპერატივებმა, რომელნიც უშუალოდ ეწევიან სას.-სამეურნეო პროდუქტების დამზადებას, ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ შესასრულებლად დაკისრებულ ვალდე-

დაწესებული უნდა იქნეს სასტიკი დისციპლინა მიზნობრივი დანიშნულებისათვის გაცემული ავანსების დახარჯვის საქმეში, და ამ მუხლის დამრღვევნი უნდა მიეცნენ პასუხისგებაში და სხვა.

ა/კ. კოოპერაციის მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების გეგმა

(ამხ. დარჩიას მოხსენებით)

ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციამ იმ მიზნით, რომ განდევნოს კერძო შემსყიდველი და თვით იკისროს სასოფლო მეურნეობის პროდუქციის გასაღება, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების საქმეში.

მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი პოლიტმუშაკების შემდეგი გადმოყვანა არმიიდან;

გ) პარტიის წევრების და კომკავშირელების—ცვალებადი შემადგენლობის ტერიტორიალურ ნაწილებში უნდა ჩაითვალოს პარტიულ-კომკავშირულ მოვალეობად და დაუშვებლად იქნეს ცნობილი მათი განთავისუფლება ტერიტორიალურ ნაწილებში მონაწილეობისაგან.

2. საჭიროა უფრო ენერგიულად იქნეს ცხოვრებაში გატარებული ის ღონისძიებები, რომლებიც შეეხება დემობილიზაციაქმნილ წითელ-არმიელებისა და მეთაურთა შემადგენლობისათვის დახმარების აღმოჩენას, საბჭოთა მესამე ყრილობის გადაწყვეტილების თანახმად, და მათ გამოყენებას საბჭოთა მუშაობაში.

3. აუცილებელია სამხედრო მუშაკების და განსაკუთრებით სანაპირო რაზმის მუშაკების უფრო დაახლოვება და ჩაბმა საერთო-პარტიულ და საბჭოთა მუშაობაში.

4. გატარებულ იქნეს საქმიანი განმარტებითი კამპანია გლეხებს შორის ტერიტორიალური ნაწილების შედგენის ამოცანების და მნიშვნელობის შესახებ.

5. მოწესრიგებული და გაძლიერებული იქნეს მუშათა და სხვ. ორგანიზაციების კულტურული შეფობა არმიაზე.

სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის და ბეჭდვითი სიტყვის შესახებ

1. თათბირი აღნიშნავს, რომ საagitაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა მუშაობას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ პარტკომები და ხშირად ამ განყოფილებებს უცქერიან როგორც ისეთ დაწესებულებებს, რომლებიც თითქოს განზე იდგენ საერთო პარტიულ აპარატისაგან. თათბირი აბსოლიუტურად შეცდომად სთვლის ასეთ მიდგომას. სცნობს რა, რომ საagitაციო-საპროპაგანდო განყოფილებები წარმოადგენენ პარტიული აპარატის განუყრელ ნაწილს, თათბირს საჭიროდ მიაჩნია მიღებულ იქნეს ზომები იმისათვის, რომ ისინი გაძლიერებული იქნენ მუშაკებით და ბეჭდვითი სიტყვის და საagitაციო-საპროპაგანდო საკითხებს უდიდესი ყურადღება მიაქციონ პარტიულმა ორგანიზაციებმა, დაწყებული უმაღლესიდან გათავებული უჯრედით.

2. კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების ცენტრს სოფლად უნდა წარმოადგენდეს ქოხ-სამკითხველო. ამისათვის საჭიროა გამოცოცხლებულ იქნეს მუშაობა ქოხ-სამკითხველოს გარშემო სოფლის მოწინავე ელემენტების თვითმოქმედების გაძლიერების ნიადაგზე.

3. ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების დამკვრელ ამოცანად ცნობილ იქნეს ანბანური უცოდინარობის აღმოფხვრა პირველყოვლისა პარტიის და კომკავშირის წევრებს შორის.

4. აუცილებლად იქნეს ცნობილი პოპულიარული ლიტერატურის გამოცემა ლენინიზმის შესასწავლად ადგილობრივ ენებზე.

ყურადღება მიექცეს არსებულ პედაგოგიურ კურსებს, კურსების მსმენელთა შერჩევას, მათ მატერიალურ უზრუნველყოფას და ამ კურსებზე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისციპლინების სწავლებას.

6. პარტიულ-პოლიტიკური აღზრდის ინტერესების გულისათვის საჭიროა გამოიცეს ადგილობრივ ენებზე სათანადო ლიტერატურა დაბალი პარტიული და კომკავშირული აქტივის საკითხების გასაშუქებლად.

7. აუცილებლად იქნეს ცნობილი რესპუბლიკებში რ. კ. პ. (ბ) ცეკას „სოფლის კომუნისტის“ ტიპის სასოფლო ჟურნალების გამოცემა ადგილობრივ ენაზე.

8. ჩაითვალოს რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტების ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებათა პირველხარისხოვან ამოცანად გაძლიერებული ყურადღების მიქცევა გლეხკორთა მოძრაობისათვის ამიერკავკასიაში.

9. სასურველად იქნეს ცნობილი თითო საწარმოო დაწესებულებაში და სოფელში საერთო პარტკომკავშირულ კედლის გაზეთის არსებობა.

გამომჟღავნებული პროვოკატორები

პროვოკატორები კურიცინი და ველედნიცკი

ვინ გასცა კურიცინმა და ველედნიცკიმ.—ველედნიცკი თბილისში.—ძველ შლისელბურგელმა მიხეილ ფროლენკომ, რომელიც ამას წინად თბილისში იმყოფებოდა, დაადასტურა აღმოჩენილ მასალების ღირებულება.

საქართველოს რევოლიუციის მუზეუმის საარქივო განყოფილებამ თბილისის ყოფ. საგუბერნიო ჟანდარმერიის სამართველოდან მიღებულ საქმეებ შორის აღმოაჩინა მასალა წარსული საუკუნის 70-იან წლების ორ დიდ პროვოკატორის თედორე კურიცინის და ველედნიცკის პროვოკატორულ მოღვაწეობის შესახებ.

თავიანთი მოღვაწეობით ეს პროვოკატორები არაფრით არ ჩამოუვარდებიან ამას წინად გამომჟღავნებულ ოკლადსკის.

კურიცინის და ველედნიცკის თავის დროზე ბრალდებოდათ პროვოკაციული მოქმედება საქართველოს რევოლიუციის მუზეუმის მიერ აღმოჩენილი დოკუმენტები სრულიად ახალ შუქს ჰფენენ მეფის „ოხრანკის“ ამ თანამშრომელთა მუშაობას.

ამას წინად თბილისში მყოფმა შლისელბურგელმა მიხეილ ფროლენკომ, რომელიც გაეცნო რევოლიუციის მუზეუმის მიერ აღმოჩენილ მასალებს, განაცხადა, რომ ეხლა მისთვის ნათელია, თუ რატომ ასახელებდენ და სიკვდილით სჯიდენ თავის დროზე მრავალ რევოლიუციონერებს.

ამ მასალების ასლები გაეგზავნა მოსკოვში ლევ დეიჩს—ერთ-ერთ ძველ შლისელბურგელს. დეიჩს ამ დღეებში გამოგზავნის თავის დასკვნას.

პროვოკატორები კურიცინი და ველედნიცკი ტრიალებდენ „კიევის და ოდესის რევოლიუციონურ წრეებში. მათი პროვოკატორული მოღვაწეობის წყალობით დაპატიმრებული კატორღაში გაგზავნილი და სიკვდილით დასჯილი იქნენ მაშინდელი დროის რევოლიუციონერთა მთელი რიგი. როგორც მაგალითად: დეიჩი ფროლენკო, ლიზოგუბი, პოპკო, დრობიაზგინი, მალინკა, ვალერიან ოსინსკი, სტეპანოვიჩი და მრავალი სხვები.

კურიცინი, რომელიც ოდესის ციხეში იჯდა, ჟანდარმების მიერ ეგზავნებოდა პოლიტიკურ პატიმართა კამერებში. ის იგებდა რევოლიუციონერ საიდუმლოებათ და „ოხრანკას“ აწვდიდა ცნობებს იმის შესახებ, რაც მან ნახა და გაიგონა.

რევოლიუციის მუზეუმის შეკითხვაზე, ლევ დეიჩმა ამ დღეებში აცნობა მას, რომ კურიცინს დიდი ხანია ბრალად ედებოდა პროვოკატორული მოქმედება და რომ 1906 წელს ის მოკლული იქნა ტერორისტის მიერ ტაშკენტში, სადაც ეჭირა დიდი თანამდებობა საბეითლო სამმართველოში.

ველედნიცკი „ოხრანკამ“ გამოგზავნა თბილისში, სადაც დაინიშნა თბილისის საკონტროლო პალატის მოხელის თანამდებობაზე. თბილისში მან გააფართოვა თავისი პროვოკატორული მოქმედება.

1903 წელს თბილისის ჟანდარმთა სამმართველოში მსახურობდა პოდპოლკოვნიკი ველედნიცკი. რევოლიუციის მუზეუმის მიერ მოხდენილმა ექსპერტიზამ დაამტკიცა საკონტროლო პალატის მოხელის და პოდპოლკოვნიკ ველედნიცკის ნაწერების ერთიდაიგივეობა.

რევოლიუციის მუზეუმის საარქივო განყოფილების საქმეებში არ მოიპოვება ველედნიცკის პირველი მოხსენებები. მოიპოვება მხოლოდ უკანასკნელი მოხსენებები თბილისიდან, სადაც ის გამოგზავნა მზრუნველმა მთავრობამ, რადგან ეშინოდა მისი მოკვლისა.

საკონტროლო პალატის წვრილი მოხელის როლში ველედნიცკი სამსახურს უწევდა თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს. საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი მათი „უდიდებულესობის“ კანცელიარიის მესამე განყოფილებისადმი გაგზავნილ მიმართვაში მშვენიერ ატესტაციას აძლევს ველედნიცკის:

„ველედნიცკის, ყოფილ სოციალისტის მოქმედება და მთავრობისადმი ერთგულება ყოველ ეჭვს გარეშეა. ის აწარმოებს მიწერ-მოწერას ჟანდარმერიის კაპიტან სულეიკინთან“.

ველედნიცკის ძალიან აფასებდენ. ჟანდარმერიის პოლკოვნიკი სწერს:

„მოვალეთ ვრაცხ თავს დავადასტურო, რომ სოციალიზმის განვითარების დიდ ცენტრებში ველედნიცკის მაგვარ პირების ყოფნა მოგვიტანდა უფრო დიდ სარგებლობას, ვინემ თბილისში“.

ამჟამად ველედნიცკის ეძებენ, თუ ის კიდევ ცოცხალია. ალბად ის უფრო ფრთხილად და წინდახედულად იქცევა, ვიდრე პროვოკატორი ოკლადსკი და ანკეტებშიაც არ უწოდებს თავს, როგორც ოკლადსკი 70-იან წლების რევოლიუციონერს.

მასალები ამ ორ დიდ პროვოკატორის მოღვაწეობის შესახებ გადაეცა „პარტისს“.

საქართველოს სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაცია

ქუთაისის ჰიდრო-ელექტრო სადგური

ა/წ. 24 ივნის შესდგა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამრეწველო-საალმშენებლო სექციის სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა საკითხი საქართველოს სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის შესახებ.

სხდომას დაესწრენ დაინტერესებული უწყებების წარმომადგენლები.

სხდომაზე უმთავრესათ განხილული იქნა საკითხი დასავლეთ საქართველოს ელექტროფიკაციის შესახებ, სადაც არ არის მძლავრი ელექტრო ხაზები, იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში არის ასეთი ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის სახით.

დასავლეთ საქართველოში მძლავრი ელექტრო-სადგურის აგების საკითხის განხილვის დროს მხედველობაში მიღებული იყო ის გარემოება, რომ ამ სადგურმა იმავე დროს უნდა დააკმაყოფილოს საუღელტეხილო გზის ელექტროფიკაციის მოთხოვნილებები.

სხდომაზე განხილული იქნა ორი ვარიანტი: ქუთაისის და ტყიბულის სადგურებისა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სექცია შეჩერდა ქუთაისის სადგურის ვარიანტზე, რადგანაც ამ სადგურის სიმძლავრე (29.430 კილოუატ საათი) დააკმაყოფილებს როგორც საუღელტეხილო გზის ელექტროფიკაციის მოთხოვნილებებს, ისე განზრახულ ფერო-მარგანეცის ქარხნის მოთხოვნილებებსაც. ამას გარდა დარჩება კიდევ საკმაო ძალა სარაიონო მეურნეობის და წვრილ წარმოებათა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ.

სადგურის აგება, პროექტის მიხედვით, დაჯდება 9 მილიონი მანეთი, გადამცემი ქსელის მოწყობა კი—2.320.000 მან.

ქრონიკა

— **თემაღმასკომების მდივნების** მოსამზადებელი კურსები თბილისში გაიხსნება 1-ლ ივლისს.

— **შემოსავალი ტრამვაიდან.** წარსული თვის განმავლობაში ტრამვაის შემოსავალი უდრის 208,673 მან.

— **დახმარება ჩიყვიან ავადმყოფებს.** ჯანსახკომმა მიავლინა სვანეთში სამეცნიერო ექსპედიცია ჩიყვის ავადმყოფობის შესასწავლად მასთან ბრძოლის მიზნით. ექსპედიციის ხარჯებისათვის საქ. სახკომსაბჭომ გადასდო 3500 მან.

— **სანიტარული გამოფენა.** დღეს იხსნება წითელარმიელთა ცენტრალ. კლუბში სანიტარული გამოფენა. შესვლა წითელარმიელებისა და პროფკავშირის წევრებისათვის უფასოა.

— **შრომის ნაყოფიერება** მაისის განმავლობაში წყალსადენის დარგში აპრილთან შედარებით გაიზარდა 11 პროცენტით.

— **ტრამვაის სამმართველომ** შეიძინა ტრამვაის სალიანდაგო ზოდების გამოსახარშავი ნივთიერება—ტერმიტი—64 ათასი ფუთი.

— **ახლო ხანში თბილისში** შესდგება საბინაო მშენებლობის თათბირი, რომელზედაც მოხდება ცენტრამშენის ხელახალი არჩევნები.

— **ფ. ტელეგრაფის კომისარიატის** დადგენილებით არა სრული მისამართიანი ამანათი უკანვე დაუბრუნდება გამგზავნს.

— **ჯარიმის შემცირება.** ტელეფონის ქირის თავის დროზე შეუტანლობის გამო დაწესებული ჯარიმა შემცირებული იქნა ნახევრიდან მეოთხე პროცენტამდე.

— **სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა** დაცვის ინსპექტორი ამხ. მ. ბოჭორიძე განათლების კომისარიატის მიერ გაგზავნილი იქნა გორის მაზრაში სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის აპარატის მოსაწყობათ.

— **ვინაიდან საბავშვო სახლები** ამჟამად დატვირთული არიან, ამიტომ სექტემბრამდე შეწყვეტილია, როგორც ბავშვთა, ისე პედაგოგიურ და ტეხნიკურ პირთა მიღება საბავშვო სახლებში.

— **მუშათა ჯანმრთელობისათვის.** საქ. შრ. სახ. კომისარიატმა მოსკოვში მიავლინა პროფ. ბერიტაშვილი, რომელსაც დაავალა შეიძინოს ფიზიოლოგიური ლაბორატორიისათვის საჭირო იარაღები და გაეცნოს მოსკოვის ფიზიოლ. ლაბორატორიის და ცენტრ. შრომის ინსტიტუტის მუშაობას.

— **შეღავათი მშრომელ გლეხობას.** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველოს სატყეოებიდან მშრომელ გლეხობას შეღავათიან ფასებში მიეცა 23,140 კუბიკური საჟენი შეშა და ფიჩხი.

— **ტყის მოშენება.** მიწსახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებას განზრახული აქვს ჭიათურა-საჩხერის რაიონში გააშენოს წიწვიანი ჯიშის ტყე.

მუშათა ცხოვრება

„ნათლიმამობა“ სააფთიაქო დარგში დაუშვებელია

(ჯანმრთელობის კომისარიატის საყურადღებოდ)

არსებულ კანონების მიხედვით და წესების თანახმად აფთიაქში სამუშევრათ მიიღებიან მხოლოთ სათანადო ცოდნის მიღების და გამოცდების ჩაბარების შემდეგ. აფთიაქის მოწაფეებიც რომ არიან, მათაც კი აეკრძალათ, როგორც ვიცით, აფთიაქში მუშაობა პრაქტიკის მისაღებათ.

მაგრამ... ნათლიმამობა და ნაცნობობა აქაც ყველაფრის შემძლე ყოფილა. არის ერთი ვინმე დიდი-ჯიხაიშში კარგად ცნობილი, ამავე სოფლის აფთიაქის ყოფილი გამგე, ბ-ნი ლუკა ნუცუბიძე, რომელსაც „მოუხერხებია“ დიდი-ჯიხაიშის აფთიაქში მიღება თავისი ცოლის, შურა ნუცუბიძისა, რომელმაც აფთიაქის არაფერი იცის, ლათინური კითხვა არ იცის და მოწმობა ხომ არავითარი აქვს.

ვეკითხებით, ვისაც ჯერ არს, დაიშვება თუ არა აფთიაქში სამუშევრათ (თუნდაც პრაქტიკის მისაღებათ) სათანადო ცოდნას მოკლებული პირი და ისიც იმ დროს, როდესაც მცოდნე და გამოცდაჩაბარებული პირები, რომლებსაც შრომა და ხარჯი გაუწევიათ, დღეს უადგილოდ არიან.

მოვითხოვთ ამ საკითხის გამოძიებას, „ნათლიმამობის“ მოსპობას და კანონიერების დაცვას.

ინფ. ვინმე.

ეს შოვინისტი ქალი უნდა ალაგმოთ

(რკ. გზ. საგანგებო კომისიის საყურადღებოდ)

აგერ ერთ თვეზე მეტია, რაც რკ. გზ. მთავარ საწყობში მიდის რკ. გზის საჭირო მასალების აღწერა (რაც კი საწყობში მოიპოვება), რაზედაც განსაკუთრებით დანიშნული არიან მცოდნე პირები, კომისიის სახით. კომისიები ყველა განყოფილებებში დანაწილებულია, მუშებიც ჰყავთ ცალკე მიჩენილი მოვალეობის შესასრულებლათ, ამ კომისიებში ერთი ვინმე ქ-ტონი ლიდია კაიზერიც თანამშრომლობს, რომელსაც ემჩნევა შოვინისტური განწყობილება. ა/წ. 16 ივნისს რამდენიმე პირთან ერთად ლაპარაკობდენ ეროვნული ენების შესახებ. იქვე მუშებიც იყვნენ, რომელნიც უსმენდნენ. ამ ლაპარაკში ლიდია კაიზერი თამამად გაიძახოდა: ქართული ენა და ლაპარაკი „ძაღლურია“-ო (**Грузинский язык, собачий язык**). ამ სიტყვის წარმოთქმისთანავე კაიზერის გვერდით მყოფმა პირებმა გასცეს საკადრისი პასუხი, მაგრამ, ქ-ტონი კაიზერის სიტყვებმა ცუდი გავლენა იქონია როგორც ქართველებზე, აგრეთვე რუსებზე და სხვებზედაც, რადგან დღეს ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ და ნაციონალურ შუღლზე არავის სჭირდება თავის ტკივილი, გარდა ქ-ტონი ლიდიასი.

მუშკორი დონჯანი.

ცოტა რამ შრომის კოლექტივებზე

(სახ. კვების კავშირის და შრომის ორგანოების საყურადღებოდ)

უმუშევრობასთან საბრძოლველად ჩვენმა სახელმწიფო ორგანოებმა მოაწყვეს „შრომის კოლექტივები“, რაც დიდ საშვალებას აძლევს უმუშევრებს და მასთან წარმოების საქმეც კარგად არის დაყენებული. სახ.-კვების კავშირმაც დაარსა ასეთი კოლექტივები (ამ ჟამად კავშირს აქვს დაარსებული ოთხი) და სასადილო, სადაც საკმაო რიცხვი უმუშევრების გაიგზავნა. კოლექტივებში შრომის კანონები ირღვევა ზედმეტი მუშაობით. ზოგიერთ ადგილას კოლექტივის წევრებს უხდებათ 18 საათი მუშაობა. მართალია ისინი არაფერს ამბობენ ამის შესახებ; და უმუშევრად დარჩენას ყველაფერი სჯობია, მაგრამ მაინც 16—18 საათის მუშაობა მიუღებელია საბჭოთა წესწყობილების ხანაში, სადაც არ უნდა იყოს.

ამიტომ დიდი ნაკლი აუცილებლად უნდა გამოასწოროთ.

მუშკორი: ა. ზობოთური.

მიიღეთ ზომები

(მკერავთა კავშირის საყურადღებოდ).

8 მარტის სახელობის სამკერვალო“-ში (პეტრე-პავლეს და კონსტანტინოვის ქ.ქ. კუთხე № 8) მომუშავე ქალებს საცხოვრებელი ბინა იმავ შენობაში აქვთ. საღამოობით იმ შენობის გარშემო ბიჭ-ბუჭები იყრიან თავს და თავის ღრიანცელით იქ მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთ მოსვენებას არ აძლევენ.

რაშია საქმე? თუ სამკერვალოში არიან ისეთი ქალები, ვისაც ღამღამობით „სტუმრები ეწვევიან“, მათი გაწმენდაა საჭირო, რასაც ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ყურადღება უნდა მიაქციოს.

ისნელი—მუშა.

ამ უწესოებას ბოლო უნდა მოეღოს

(რკინის გზის მილიციის საყურადღებოდ).

თბილისის რკინის გზის სადგურთან, იმ ადგილას, სადაც რკინის გზის მოსამსახურეები სცხოვრობენ ქვის სახლებში, დიდ უწესოებას აქვს ადგილი. აქ თავს იყრიან ყველა ჯურის და სქესის უბინაო და საეჭვო პირები. ხშირია ჩხუბი და აყალ-მაყალი, ქურდობა და ძარცვა-გლეჯა; უწმაწური ლანძღვა-გინებას და გარყვნილებასაც ხშირად აქვს ადგილი. ამას წინად ამ სახლიდან მცხოვრებ ექიმ პ. ჯვარშეიშვილის ბინა ამ ავარებმა გაქურდეს.

ამ რკინის გზის სახლებში მცხოვრები მოსამსახურეები აბეზარი ქურდ-ბაცაცებით ძლიერ შევიწროებას განიცდიან, მაგრამ მათ ასეთ მდგომარეობას არავინ არ აქცევს ყურადღებას.

ამას ყურადღება უნდა მიაქციოს რკინის გზის მილიციამ.

მუშკორი უ. ჯ—ი.

დროს გამორკვევისათვის

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლიგის პრეზიდიუმმა აღძრა საკითხი დროის განსაზღვრის შესახებ. ეს საკითხი შემდეგში მდგომარეობს;

დღეს დროს განსაზღვრა ძალზე ცუდათ არის დაყენებული: ქალაქის და კერძო პირთა საათები არასოდეს ერთმანეთს არ ეთანხმებიან და ამ მხრივ მრავალ გაუგებრობებს და დაბრკოლებებს ვხვდებით სამსახურის ასრულების დროს. კრებებზე დაგვიანება, თავის დროზე სამსახურში არ მოსვლა ან წასვლა ადრე თუ გვიან ამ გარემოების შედეგია.

ამისათვის შ. მ. ო.-ს ლიგის ტფ. კომიტეტს განზრახვა აქვს დასვას საკითხი იმის შესახებ, რომ ქალაქის ყოველ თვალსაჩინო პუნქტებზე (გზაჯვარედინებზე, მოედნები) მოეწყოს დიდი საათები: ყველა მესაათეები ვალდებულ ჰყოს, რათა ვიტრინებში გამოჰკიდონ საათები წარწერით „სწორი საათი“. ყველა ამ საათებს თვალი უნდა ადევნოს ქალაქის აღმასკომის მესაათემ და იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საათთაგანი მოიშლება—უნდა ჩამოეფაროს ფარდა.

ამავე დროს შ. მ. ო.-ს განზრახვა აქვს აღძრას შუამდგომლობა რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წინაშე, რათა განსაზღვრულ მომენტებში (მუშაობის გათავებისას) გასროლილ იქნას ზარბაზანი ან ფაბრიკა-ქარხნებში საყვირებით მიცემული იქნეს დროის მაჩვენებელი ნიშანი, რაც საშვალებას მისცემს მოქალაქეებს გაასწორონ თავისი საათები.

ქ.

ხელოვნება

— **აკადემიური დრამის წარმოდგენები კახეთში.** დღეს თელავში მიემგზავრება აკადემიური დრამის დასი, რომელიც 28 ივნისს, ადგილობრივ თეატრის გახსნის დღეს, გამართავს წარმოდგენას კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით.

— **დიონისოს ღიმილი.** კ. გამსახურდიას რომანი დიონისოს ღიმილი ითარგმნება ფრანგულად ელის. ორბელიანისა და ს. იორდანიშვილის მიერ. გერმანულად სთარგმნიან ავტორი და მ. ეგერს. წიგნი ჯერ გამოვა გერმანულად ბერლინში. გერმანულ თარგმანს წამძღვარებული ექნება პროფ. დ. უზნაძის წინასიტყვაობა.

— **ბალი არტო.** ვ. სიმონიშვილის გურულ მომღერალთა კონცერტი, რომელიც დანიშნული იყო ოცდა ოთხ ივნისისათვის, ცუდი ამინდის გამო გადაიდო და შესდგება შაბათს, 27 ივნისს.

— **საბჭოთა მუშაკების** კლუბში ივლისის დასაწყის რიცხვებში საქველმოქმედო მიზნით (ნაცვლად 27 ივნისის) გაიმართება გრანდიოზული სეირნობა-საღამო.

— **გან. მუშ. საზაფხულო სახლი** (პლეხანოვ. 65). პარასკევს, 26 ივლისს, ივ. ბობოხიძის ლექცია „ახალი გენეტიური მეთოდის შესახებ“ (სიუჟეტი „ვეფხის ტყაოსნიდან“) დასასრულს კინო. დასაწყ. 7 ს.

— **„წითელი არმიისა და ფლოტის ბაღი“.** თეატრში—მუსიკალურ ვოკალური საღამო. ბაღში კონცერტი. ლენინის ოთახში—მუსიკალური წრის წევრების კრება.

— **მუსიკალური კომედიის თეატრი.** დღეს მეხუთეჯერ „კოლომბინა“.

— **თეატრი სოფლად.** სოფ. ახალშაში (ლეჩხუმი) ადგილობრივი გლეხკომის მეთაურობით და მასწავლებელთა დახმარებით გლეხებმა ააშენეს საზაფხულო თეატრი.

— **კლუბ „მბეჭდავში“** 28 ივნისიდან დაიწყება სიმფონიური კონცერტები დამსახურებულ დირიჟორის სტოლერმანის ხელმძღვანელობით.

შემთხვევები

— **შეიპყრობა.** 23 ივნისს შეიპყრეს ქურდი მამადი ასკარ ოღლი რომელმაც გაქურდა ასან მამედ ოღლის (კომუნალური ქ. № 132) სახელოსნო.

— **გვამების აღმოჩენა.** 23 ივნისს დილით რადიო-სადგურის ახლოს მტკვრის პირას აღმოაჩინეს ორი დამხრჩვალის ქალ-ვაჟის გვამი.

— **დაშავება.** 28 ივნისს საღამოს, ელისაბედის ქ. № 177 მესამე სართულის ფანჯრიდან უცაბედათ გადმოვარდა მოქ. შალვა კიპელი, და ძლიერ დაშავდა.

— **ქარხანაში.** 23 ივნისს მოქ. ნადია საყვარელიძემ განაცხადა, რომ როზა ლიუქსემბურგის სახელობის ქარხანაში მას მოპარეს ფეხსაცმელები.

— **შეიპყრობა.** 23 ივნისს შეიპყრეს კონსტ. კალეიცოკი, რომელმაც დესიმონოვის მოედ. № 23 მოქ. ქართველიშვილს მოპარა 20 მანეთი.

— **მოკვლის განზრახვა.** 20 ივნისს სოფ. ნარიმანოვკაში მოქ. სადის ბიგიროვმა რომანიულ ნიადაგზე თოფი დაუმიზნა მელიტონ ჩაგანავას, მაგრამ ვერ მოასწრო გასროლა. დამნაშავე შეიპყრეს.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული იყო ცნობა არსენალში აფეთქების შესახებ, ამის გამო ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ აფეთქება მოხდა კავკასიის წითელდროშოვანი ლაშქარის საარტილერიო საწყობის ლაბორატორიის ეზოში და არა მექანიკურ საარტილერიო არსენალში (ლითონტრესტი).

პროვინციაში

ქვიანი

ნიგოითის თემი (გურია)

ქვიანი კარგი მოზრდილი სოფელია. მცხოვრებნი უმთავრესათ მიწის მუშაობას მისდევენ. წელს მოსავალს კარგი პირი არ უჩანს ჯერ გვალვები იყო და შემდეგ სეტყვა.

აქ არსებობს კოოპერატივი რომელიც არის განყოფილება ნიგოითის კავშირისა, რომელშიაც არის ყოველგვარი ხელმისაწვდომი სანოვაგე.

სამკითხველოში ახლა ყოველდღე მოდის გაზეთები. ეს უნდა მიეწეროს ახალ გამგეობას, რომელმაც უმთავრესი ყურადღება მიაქცია სამკითხველოში საქმის გაუმჯობესებას.

ხსენებულ სოფელში ორი-სამი წლის წინად დაწყებული იქნა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საქმე: ეს იყო სახალხო სახლი.

მუშაობა დღეს უფულობის გამო შეჩერებულია. ხალხი ძალიან მონდომებულია, რომ ააგოს სახალხო სახლი. აქ კარგა ხანი იყო დაარსებული დრამატიული წრე, რომელიც ხშირათ მართავდა წარმოდგენებს და წელს კი მუშაობა ამ მხრივ მოისუსტებს. საჭიროა გამოფხიზლება და ამ ზაფხულზე ხშირათ გამართვა წარმოდგენების. უნდა მიექცეს ამას ყურადღება. დრამწრის გამგეობავ, გამოიღვიძე!

გ. ქვიანელი.

მეტი ყურადღება ტყეების დაცვას

(ლანჩხუთის რაიონი)

ლანჩხუთის რაიონს აკრავს ტყიანი ადგილები, რომელსაც ნაწილობრივად შეეძლო ადგილობრივი მოსახლეობის დაკმაყოფილება და ისიც რამოდენიმე წლის განმავლობაში.

1921 წლიდან აქ დაწყებულია ამ ტყეების ფართე ექსპლოატაცია, გაყვანილია 14 ვერსის მანძილზე ვიწრო რკინის გზის ლიანდაგი, აგებულია სახერხი მანქანები და სხვა მოწყობილობა. ამ ხნის განმავლობაში სწარმოებს განუწყვეტელი მუშაობა.

ამ წარმოების შესახებ არა ერთი და ორი წერილები დაწერილა ჩვენს გაზეთებში, რომელშიაც ჩვენი გულუბრყვილო ამხანაგები ამ ტყის და მუშაკების საქმეს სთვლიან დიდ ბედნიერებად და სასარგებლოდ. სინამდვილეში კი ამ მცირე ტყეების განადგურება სულ ახლო მომავალში ადგილობრივ მცხოვრებლებს ჩააგდებს გამოუვალ მდგომარეობაში; მათ არ ექნებათ საშუალება იშოვონ თუ გინდ ერთი ურემი შეშა საზამთროდ.

საჭიროა ხვალინდელ დღეზეც ვიფიქროთ. არა თუ ისედაც მცირე ტყეების განადგურება, არამედ მათი შენახვა და დაზოგვით მოხმარება,—ასეთი უნდა იყოს ჩვენი ამოცანა.

ლ. კ.

რას გვწერენ

სოფ. დაფნარი (ქუთ. მაზ.) ამ რამდენიმე ხნის წინად მე მივეცი განცხადება ქუთაისის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე, ამხ. დ. ლორთქიფანიძეს, ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელთა ბოროტმოქმედებაზე.

ჩემთვის გაუგებარ მიზეზების გამო—ეს საჩივარი იქვე იქნა გადმოცემული საქმის გამოსარკვევად, რომლის ადმინისტრაციასაც შეეხებოდა ბრალდება. მილიციონერი გაბედავა, რომელიც დამნაშავის სკამზე უნდა იჯდეს, თვით ეძახის ჩემს განცხადებაში დასახელებულ მოწმეებს ჩვენების მისაცემად და სხვადასხვა მუქარის სახით სცდილობს გავლენა მოახდინოს მათზე.

უდიერი და უცენზურო სიტყვების ხმარება გაბედავას ჩვეულებად აქვს გადაქცეული. აღმასკომის თავმჯდომარეც მოისუსტებს. მილიციონერი გაბედავა რასაც უნდა იმას სჩადის, თავმჯდომარის დაუკითხავად. იყო შემთხვევა, როცა მან თავისი ნებით გლეხები დააპატიმრა და თავმჯდომარის მოსვლამდი დაკავებული ჰყავდა.

გრ. ამაღლობელი.

ახ. სენაკი. უკვე მეოთხე თვეა, რაც არჩეულია ქალაქის საბჭო და მას დღემდის ერთი კრების მეტიც ვერ მოუწვევია.

შეიძლება სენაკში ყველაფერი რიგზეა და ქალაქიც კეთილმოწყობილია. სამწუხაროდ ეს ასე არაა. როდის გააცხოველებენ მუშაობას ჩვენი ქალაქის დეპუტატები.

ნარეკლიანი.

სოფ. აცანა (გურია). რადგან ჩვენს სოფელში არ არის საექიმო პუნქტი, ექიმი მიხაკო მგელაძე თავის ცხენით ყოველ კვირაში დადის ჩვენს სოფელში და საექიმო რჩევა-დარიგებას და დახმარებას აძლევს, როგორც ჩვენი სოფლის, აგრეთვე მეზობელ სოფლების გლეხობას. ასეთი ექიმი მადლობის ღირსია.

ლ. ქინქლაძე.

პროვინციის ქრონიკა

— **ტყის დღე.** რაჭის აღმასკომის მეთაურობით მაზრის თემებში ჩატარდა ტყის დაცვის დღე. აღნიშნულ დღეს გლეხთა ყრილობებს განმარტება მიეცით ტყის დაცვა-მოვლის მნიშვნელობის შესახებ.

— **ჭლექის სამდღიური.** ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა აირჩია მაზრაში ჭლექის სამდღიურის ჩამტარებელი კომისია.

— **საექიმო პუნქტი.** სოფ. ყარაზახში (ახალქ. მაზრა) სამაზრო აღმასკომმა გახსნა საექიმო პუნქტი.

— **ხიდის აგება.** უკვე დამთავრდა ორბელის (ლეჩხუმი) ხიდის აგება მდ. ლაჯანურზე.

— **ახალი აგარაკი.** რაჭის აღმასკომმა გადასწყვიტა მოაწყოს სოფ. შუაუბანში მჟავე წყლის აგარაკი. ამ საქმისთვის აღმასკომმა ამ თავითვე გადასდო 200 მან.

სოფლის ფოსტა

გ. მათურელს (ჯიანეთი). თქვენ ბევრს სწერთ ამხ. დ. ყაყიჩაშვილის ხალხის წინაშე დამსახურებაზე, მაგრამ არაფერს ამბობთ იმაზე, თუ რაში გამოიხატა მისი სოფლის სასარგებლო მუშაობა.

ოდისეს (თბილისი). ლექსი სუსტია, არ გამოგვადგა. გვიგზავნეთ წერილები პროზით.

ჯერ კიდევ ბავშვს (გურია). ხელმოუწერელ კორესპონდენციებს რედაქცია არ იხილავს.

ამხ. კაკაჩეიშვილს (სამტრედია). „ფარცვანის ოინები“ არ მიდის. საბჭოთა სასამართლო გაარჩევს მტყუანს და მართალს.

ჩვენი ფოსტა

— **ლენინგრადი, სტუდენტს კ. მ ქოჩიაშვილს.** ორი თვით ჩვენი გაზეთი მიტომ გაგიწერეთ, რომ რუსეთში ჩვენი გაზეთის გაწერა თვიურად ღირს 1—50 კ.; ამნაირად გაზეთი შეგიწყდებათ არა 1 აგვისტოს, როგორც თქვენ გგონიათ, არამედ 1 ივლისს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 38

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში.

23 ივნისი 1925 წ.

სავაჭრო სამრეწველო საწარმოთა რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ.

ვინაიდან რწმუნებულის სამმართველოს წინაშე სავაჭრო სამრეწველო საწარმონი შუამდგომლობენ იმ რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ, რომელსაც ახდენს შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველო თანახმად ა-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა № 16 „ერთიანი სავაჭრო რეესტრის შესახებ“, („ზარ. ვოსტ.“ № 876 ა/წ. 16 მაისის თარიღით) ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1. სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა რეგისტრაციის ვადა, აღნიშნული ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის დადგენილებაში № 37 ა/წ. 30 მაისის თარიღით, გაგრძელებული იქნეს ა/წ. 10 ივლისამდე.

2. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს № 37 დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ სავაჭრო-სამრეწველო საწარმოებს ევალებათ წარმოადგინონ რეგისტრაციის დროს, სამმართველოს დადგენილების № 37-ის მე-2 მუხლში აღნიშნულ ცნობების გარდა აგრეთვე შემდეგი:

ა) საბუთები (წესდება, დებულება, მინდობლობა და სხვ.), რომელზედაც ხსენებული ცნობებია დამყარებული.

ბ) ქვითარი სარეგისტრაციო გამოსაღების შეტანის შესახებ ა/კ. ფინანსახკომის სალაროში თანახმად ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახკომის საბჭოს დადგენილებისა № 19 „სავაჭრო და სხვა საწარმოთა სარეგისტრაციო გამოსაღების შესახებ“ („ზარ. ვოსტ.“ № 879 ა/წ. 20 მაისის თარიღით.

8. რწმუნებულის სამმართველოს № 37 დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ საწარმოთა ხელმძღვანელები, რომელნიც დაწესებულ ვადაში არ წარმოადგენენ მოთხოვნილ ცნობებს,—სავაჭრო რეესტრში შესატანად, ან ყალბ ცნობებს წარმოადგენენ—პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

4. სავაჭრო სამრეწველო საწარმოთა რეგისტრაცია,—რომელსაც სხვა რომელიმე დაწესებულება აწარმოებს, არ ანთავისუფლებს საწარმოებს შინა-ვაჭრობის სახკომის ორგანოების რეგისტრაციისაგან. თანახმად ა/კ. სახკომსაბჭოს დადგენილებისა „ერთიანი სავაჭრო რეესტრის შესახებ“.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში
გამყრელიძე
სამმართველოს მდივანი აბესაძე.

განმარტება

საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1925 წლის ივნისის 24-ს

„საწვევამდელო მომზადებისათვის გაწვეულ მუშა-მ სამსახურეთა გასამრჯელოს შესახებ“.

ს. ს. რ. კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ 1924 წლ. ოქტომბრის 24-ს თარიღით „ს. ს. რ. კ. მუშათა და გლეხთა წითელ არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა და მათ ოჯახობათა შეღავათების და უპირატესობათა შესახებ“ გამოცემულ კოდექსის 97 მუხ. ცხოვრებაში გატარების დროს გამოწვეულ გაუგებრობის ასაცილებლად, შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ აღნიშნულ მუხლის მიხედვით საწვევამდელო მომზადებისათვის გაწვეულ მუშა-მოსამსახურეთ გასამრჯელო ეძლევათ, მიუხედავათ იმისა მთელი სამუშაო დროის განმავლობაში გრძელდებოდა მათი სამხედრო სწავლება თუ არა.

ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარი
ა. მიქაძე.
საერთო-საორ. განყ. გამგის მაგ.
ა. დუმბაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

— საქ. უნივერსიტეტის კომ. უჯრედის ბიურო აცხადებს უჯრედის წევრთა საყურადღებოთ, რომ დღეიდან საზაფხულო არდადეგების გამო საქ. უნივერსიტეტის და მასთან არსებულ მუშფაკის კომ. უჯრედთა მუშაობა იწარმოებს ერთად (საფხულის განმავლობაში) კომ. უჯრედის კრებები შესდგება თვით მუშფაკის შენობაში პარასკეობით საღამოს 5 საათზე ორ კვირაში ერთხელ, სადაც უნდა დაესწრონ ყველა ის ამხანაგები, რომელნიც საზაფხულოდ რჩებიან ტფილისში.

გაერთიანებული უჯრედთა პირველი კრება შესდგება დღეს, 26 ივნისს, საღამოს 5 საათზე მუშფაკის შენობაში.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იტყობინება, რომ შაბათს, 27 ივნისს საღამოს 6 ნახ. საათზე, მესამე რაიონის პარტკლუბის შენობაში შესდგება მესამე რაიონის უჯრედთა სადელეგატო კრება უჯრედების მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1. ამხ. ასრიბეკოვის მოხსენება „რაბოჩაია პრავდა“-ს შესახებ, 2. ანკეტების განხილვა, 3. მიმდინარე საქმეები.

სავალდებულოა ყველა მდივნების და დელეგატების დასწრება.

მდივნის მაგიერ **ფირალოვი**.

— კვირას, 28 ივნისს, დილის 10 საათზე, განათლების მუშაკთა სახლის საზაფხულო შენობაში (პლეხანოვის პრ. № 65) ამხ. კახიანი გააკეთებს მოხსენებას განათლების მუშაკთა სოფლად საზაფხულო მუშაობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ: 1. განათლების მუშაკთა სახლის წესდების დამტკიცება, 2. სახლის გამგეობის არჩევნები.

კრებაზე მოწვეულია ყველა განათლების მუშაკი.

ც. ბ. პრეზიდიუმი.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი სთხოვს შემდეგ ამხანაგებს 2 დღის ვადაში გამოცხადდენ ამხ. ბარსეგოვთან:

მატკოვსკი მიხეილ, მანაცაკანოვი გიორგი, ვაშაძე კონსტანტინე, კაზარიან ელენე, გრიგოლია პლატონი, მარტიროსიან სარქის, ალავერდოვი რ. ა.

ღრმად დამწუხრებულნი: უდროვოდ დაქვრივებული ანიკო, გიორგის ასული შვილებით ცუფა და უჩა ქავთარაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას პირველის საყვარელი ქმრის და მეორეთა მამის გარდაცვალებას რკინის-გზის მოხელის

კონსტანტინე ბარამის ძის ქავთარაძის

რომლის გამოსვენება ქალაქ ჭიათურიდან და დასაფლავება მოხდება სოფელ ივანწმინდაში დღით, პარასკევს, 26 ივნისს 1925 წელს,—ვთხოვთ ნაცნობ-მეგობართ, რათა დაგვესწრონ და პატივი გვცენ

1771 1—1

მიმდინარე წლის 23 ივნისს სოფ. ვაშლევში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

შალიკო მურზაყანის ძე ბარბაქაძე

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს: მამა მურზაყანი, დედა ელენტია და მეგობრები: ს. კაკაბაძე, საველი ს. ივანიძისა და იულია. დაკრძალვა მოხდა 25 ივნისს, დღით ხუთშაბათს.

1773 1—1

დაუსრულებელ მწუხარებაში მყოფი გულდათუთქულნი, ტანჯული დედა ლიზა, მამა ალექსანდრე ხვიჩია ბიძაშვილებით და მამიდაშვილებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, გადახდილი იქნება გარდაცვალებიდან ორმოცი დღის პანაშვიდი დედის ერთა შვილისა

მარგოს (თამარა) ხვიჩიასი

პანაშვიდი იქნება გადახდილი შაბათს, 27 ივნისს, შუადღის 12 ს. წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

1—1 1768

დაუსრულებელ მწუხარებაში მყოფნი მშობლები: მინადორა ლევანის ასული და რემანოზი სიმონის ძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ მათი საყვარელი და დაუვიწყარი შვილის

ალექსანდრა (საშა) რომანოზის ასული ანჯაფარიძის

გარდაცვალების ექვსი თვის მოსაგონებლად პანაშვიდი გადახდილი იქნება ქ. ქუთაისში კვირას, 28 ივნისს, საღამოს 5-ნახევ. საათზე საფიჩხიის სასაფლაოზე.

1—1 1770

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე მარიამი, შვილი ალიოშა, ძმა ივანე, რძალი ელენე, ძმისშვილები: ანეტა, ლიდა, მინადორა, დავით, პეტრე და პისტი, დები ნინო და კატო, ბიძაშვილი ვასასი, იოსები, თეოფილე, ტარასი და დომნა, სიძეები, აქსენტი წულაძე, ზაქრო ყაჭიეშვილი, კოწია ჯიბუტი, ალექსანდრე ჯიბლაძე, ქვისლი მიხეილ ჯიბუტი, ცოლის ძმა კაპიტონ, ცოლისდა პისტი, სიდედრი ესმა, სიმამრი დათა კალანდაძე, მონათლულები კოწია, ლადიმე და თამარა კობიძეები აუწყებენ ნათესავებს—მათთვის უძვირფასესი, ძველი რევოლიუციონერის

სილოვან დავითის ძე კობიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება შაბათს, 27 ივნისს პეტრე პავლეს სასაფლაოზე. გამოსვენება სრულ სამ საათზე საკუთარ ბინიდან: ნავთლუღი იმედის ქუჩა № 12.

№ 1751—3—2

„სოფლის კომუნისტი“

გამოვიდა საქ. კომ. პარ. ცენ. კომიტეტის ყოველთვიური ჟურნალი

„სოფლის კომუნისტი“

შემდეგი შინაარსით:

ფ. მახარაძე—„სოფლის კომუნისტი“ და სოფელში მუშაობა; მ. ორახელაშვილი—მესამე საკავშირო ყრილობის შედეგები; ვ. ბახტაძე—სოფლად მუშაობის საკითხები; გ. მუშიშვილი—თემის საბჭოები და პარტიული ხელმძღვანელობა; ხაცკევიჩი—გლეხების მიღება პარტიაში; ჟორდანია—კომკავშირის ზრდის საკითხი სოფლად; ადამიძე—ტერიტორიალური დივიზიები; ადგილობრივი ცხოვრება და ბიბლიოგრაფია. ჟურნალი შეიცავს 48 გვერდს—ღირს 20 კ. ხელის მოწერა მიიღება რ. ს. ფ. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარ. გამომცემლობა „ახალი სოფლის“ კანტორაში (პლეხან. ქ. № 65 ტელ. 18—75).

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(ლორის-მელიქოვის ქ. № 8)

ამით აცხადებს, რომ კვირას, 28 ივნისს დილის, 11 ს. დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში.

1888 ნ. 1—1

შავი ქვის წარმოების სამმართველოს საალმშენებლო კომისია

ამით აცხადებს, რომ

12 საათზე დღით, 1 ივლისს ამა 1925 წ.

ჭიათურის კანტორის შენობაში

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

შეჯიბრება

ალესვისა და სალებავი სამუშევრებისა ჭიათურის საავადმყოფოსი

განცხადებები უნდა იქნეს შემოტანილი საალმშენებლო კომისიის თავმჯდომარის სახელზე დახურულ კონვერტში. განცხადებები მიიღება ყოველ დღე 2 საათამდი გარდა უქმისა ჭიათურის კანტორაში. შეჯიბრების დაწყებამდი უნდა იქნეს შემოტანილი საწინდარის სახით 250 მანეთი ყოველ ცალკე სამუშევარზე.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე 12—1 ს., გარდა უქმისა,

ჭიათურის კანტორაში

ნის. 1373 3—3

პროვინციის ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს

ცალკე ხელისმომწერლებმა ფოსტის ბარათზე უნდა გარკვევით აღნიშნონ სახელი, გვარი, მისამართი, გაზეთის რაოდენობა და გაწერის ვადა.

2. ფოსტის ბარათზე აგრეთვე საჭიროა აღინიშნოს უახლოესი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

3. კოლექტიური ხელისმომწერლები მოვალენი არიან გადმოგვიგზავნონ სიები ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ შემოწმებული.

4. ხვედრი ფულის გადმოგზავნა უნდა ხდებოდეს უთუოდ გაზეთის გამოწერისთანავე.

0—6 გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

თბილისის კომუნალურ ბანკის

განცხადებაში, რომელიც იყო დაბეჭდილი გაზ. „კომუნისტ“-ში

21 ივნისს 1925 წ. № 140 (1295) შეპარულია შეცდომა:

დაბეჭდილია:	**უნდა იყოს:**
არგუტინსკი-დოლგორუკოვისა სოფიო ვასილის ასულის, მე-10 უბანში, პლეხანოვის პროსპექტი...	არგუტინსკი-დოლგორუკოვისა სოფიო ვასილის ასულის, მე-10 უბანში დიდიმთავრის ქუჩა...

ნ. № 1386—1—1

ხელის მოწერისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი ...

მიხა ცხაკაიას

სახელობის

შინამრეწვ. ხელოსანთა საზოგადოების

კლუბი

(პლეხანოვის პროსპექტი № 60)

ყოველ დღე კინო, წარმოდგენები, ლოტო, ბილიარდი და სხვა გასართობები.

კლუბში მოწყობილია სამკითხველო და ლენინის კუთხე. საღამოობით უკრავს სასულე ორკესტრი.

ბაღი გამშვენიერებულია და განათებულია

კლუბთან გახსნილია

ბუფეტი-რესტორანი

აზიური და ევროპიული საჭმელებით.

ფასები ხელმისაწვდომია

საუცხოვო კუთხე დასასვენებლად.

ნის. № 1323—25—10

საბჭოთა კავშირის მთავარ საბაჟო სამმართველოს ამიერ-კავკასიის განყოფილება აცხადებს

საჯარო ვაჭრობას

თბილისის, ბათომის, ლენინაკანის, ჯულფის და ბაქოს საბაჟოებთან დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების გასაცემად

1) საჯარო ვაჭრობა ფარულია. პირობები წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ დახურულ კონვერტებში.

2) შეჯიბრება უნდა სწარმოებდეს მხოლოდ ნიხრის ძირივ და მხოლოდ პროცენტულ შეღავათების გზით მთელს ნიხრში მთლიანად, და არა ცალ-ცალკე არჩეულ პოზიციებით.

3) ხელშეკრულების ტექსტი არ წარმოადგენს შეჯიბრების საგანს და სავალდებულოა მთლიანად საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებთათვის.

4) იმ პირებმა, რომელთაც დარჩებათ აღნიშნული სამუშაოები, უნდა შემოიტანონ გირაო შემდეგი რაოდენობით:

ა) **თბილისის საბაჟოსთვის**—1000 მანეთი, რომელიც ყოველთვიურად საერთო შემოსავლიდან 10 პროცენტის გადარიცხვის გზით აყვანილი უნდა იქნეს 5,000 მანეთამდე;

ბ) **ბათომის საბაჟოსთვის**—2000 მანეთი, რომელიც აყვანილი უნდა იქნეს 10,000 მანეთამდე;

გ) **ლენინაკანის საბაჟოსთვის**—300 მანეთი, აყვანილი უნდა იქნეს 2000 მანეთამდე;

დ) **ჯულფის საბაჟოსთვის**—500 მან. აყვანილი უნდა იქნეს 3000 მანეთამდე;

ე) **ბაქოს საბაჟოსთვის**—1000 მან. აყვანილი უნდა იქნეს 5000 მანეთამდე.

5) გირაოს შეტანა სავალდებულოა არა მარტო კერძო და კოოპერატიულ წარმოებებისათვის, არამედ აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებისათვისაც.

6) საჯარო ვაჭრობაზე დაშვებული იქნებიან როგორც სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები, ისე შრომის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებულ დადგენილებათა წიადაგზე შექმნილი კოლექტივები და არტელები და აგრეთვე კერძო ორგანიზაციებიც.

7) დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომლებიც აიღებენ იჯარით საარტელო სამუშაოებს, უფლება არა აქვთ შეასრულონ საექსპედიტორო ვალდებულებანი საბაჟოებთან.

8) საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შეიტანონ საბაჟოს დეპოზიტში გირაო, რომელიც უნდა შეადგენდეს 10 პროცენტს იმ პირველდაწყებითი გირაოს ჯამიდან, რომელიც აღნიშნულია მე-4-ე მუხლში.

შენიშვნა: საარტელო სამუშაოების იჯარით ამღების გირაო გადარიცხულ იქნება საერთო გირაოში, რომელიც აღნიშნულია მე-4-ე მუხლში, ხოლო დანარჩენებს გირაო დაუყოვნებლივ უბრუნდებათ.

9) ხელშეკრულებებს და ნიხრებს, რომლებიც წარმოადგენენ კონდიციებს საჯარო ვაჭრობისათვის, ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ სათანადო საბაჟოებში და მთავარ საბაჟო სამმართველოს ა. კ. განყოფილებაში (ორჯონიკიძის ქუჩ. № 93).

10) საჯარო ვაჭრობის შედეგები უნდა დაამტკიცოს საბჭოთა კავშირის მთავარ საბაჟო სამმართველოს საბაჟო-სატარიფო კომიტეტმა, რის შემდეგ კონტრაგენტი უდგება სამუშაოების შესრულებას.

11) დახურულ კონვერტების შეტანა სათანადო საბაჟოებში ხდება ამის გამოქვეყნების დღიდან 12 საათამდე:

თბილისის საბაჟოში—30 ივნისის;
ბათომის საბაჟოში—3 ივლისის;
ლენინგრადის საბაჟოში—10 ივლისის;
ჯულფის საბაჟოში—15 ივლისის;
ბაქოს საბაჟოში—12 ივლისის.

მთავარ საბაჟო სამართველოს ა. კ. განყოფილების უფროსი:
თავბერიძე.

ნის. 1383. 1—1

ა.-კავ. რკინის გზათა სამმართველო

(თბილისის სადგურისა და ელისაბედის ქ., კუთხე № 1).

აცხადებს, რომ 1925 წ. 10 ივლისის დღის 12 საათზე დანიშნულია

შერეული საჯარო ვაჭრობა

სპეცტანსაცმლის მისაწოდებლად

სამმართველოს ესაჭიროება:

100 ცალი ხამლაინის (კობალა) ხალათი, 100 ცალი შარვალი—დაბამბული, 150 ცალი ბრეზენტის შარვალი, 1000 წყვილი ტყავგადაუკრავი ნაბდის ჩექმა (ვალინკები), 750 კომპლ. ბრეზენტისაგან დამზადებული კოსტიუმი, 300 ცალი ფორმის საზამთრო „კურტკა“, 4500 ცალი საკარვე ტილოსაგან დამზადებული „კურტკა“, 600 ცალი მსუბუქი ქსოვილისაგან დამზადებული „კურტკა“, 3600 კომპლ. მსუბუქი ქსოვილისაგან დამზადებული კოსტიუმი, 700 კომპლ. სქელი ქსოვილისაგან დამზადებული კოსტიუმი, 200 ცალი თბილი პალტო, 2500 ცალი მოკლე პალტო—თბილი, 500 წყვილი თბილი ხელთათმანი, 5600 ცალი—საკარვესაგან დამზადებული პლაში—თავსაცავ-ყაბალახით, 460 ცალი მოკლე ქურქი, 16000 საკარვის სამკლავე, 6000 ტყავის სამკლავე, 250 წყვილი ტყავის ჩექმა, 500 ცალი თბილი ტყავის ქურქი 550 ცალი ტყავის წინსაფარი, 200 წინსაფარი—სამკერდულით, 2500 ცალი მოკლე წინსაფარი, 110 ცალი ტილოს წინსაფარი, 2500 ცალი სამკერდულიანი ხამლაინის წინსაფარი, 800 ცალი ფორმის ქუდი—სადგურის უფროსებისათვის, 50 ცალი ფორმის ქუდი—მატარებლების უფროსებისათვის, 250 ცალი ქუდი—რონოდების გამცილებლებისათვის 100 ცალი—ჩვეულებრივი, უფორმო ქუდი, 550 ცალი ბამბის ქსოვილისაგან დამზადებული ხალათი, 100 ცალი თბილი ქუდი, 20 ცალი ქურქი, 20 კომპლ. ტყავის კოსტიუმი, 20 წყვილი სამკლავე.

ამას გარდა საჭიროა დამცველი რაზმისათვის ფორმის ტანსაცმელი, რომელიც უნდა შესდგებოდეს: 800 ფარაჯისაგან, 600 კომპლ. საზამთრო შარვალ-ხალათისაგან, 1500 კომპლ. საზაფხულო შარვალ-ხალათი, 1500 საზამთრო ქუდი, 1500 წყვილი ტყავის ჩექმა, 3500 წყვილი ტყავის საძირე, 80 წყვილი „კენგა“, 300 ცალი ტყავის ქამარი—ბალთიანი.

სულ საერთოდ ღირებული 350,000 მანეთად.

რკინისგზის სამმართველო უფლებას იტოვებს, რომ თავის შეხედულებისამებრ 25 პროცენტით გაადიდოს ან შეამციროს სპეცტანსაცმლის რაოდენობა.

სახელმწიფო დაწესებულებებს, კოოპერატივებს და აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობაში, წინადადება ეძლევათ აღნიშნულ დროისათვის დაბეჭდილ კონვერტებით გამოგზავნონ განცხადებები, ნაჩვენები მისამართით, ან ჩაუშვან სამეურნეო-სამასალო სამსახურის შესავალ კართან (მეორე სართულში) გამოკიდულ ყუთში. განცხადებებში აღნიშნული უნდა იყოს მიწოდების პირობები, დრო და ფასები, ამასთანავე ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას ნიმუშები.

განცხადებებზე დართული უნდა იქნეს: შემოწმებული პირადობის მოწმობა ან ნოტარიულად შემოწმებული მონდობილობის ასლი და ქვითარი, რომელშიაც აღნიშნული იქნება, რომ რკინისგზის სალაროში შეტანილია გირაო მისაწოდებელ საგნების ღირებულების 10 პროცენტის რაოდენობით. სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც თავისუფალი არიან გირაოს შეტანიდან,—შეუძლიათ არ შეიტანონ გირაო.

თუ გამცხადებელმა უარი სთქვა ხელშეკრულებაზე ხელისმოწერაზე იმ პირობებში, რომლებიც მის მიერ იქნება წარმოდგენილი საჯარო ვაჭრობაზე—გირაო მიდის რკინისგზათა სამმართველოს სასარგებლოდ.

მთელი მიწოდება უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 1925 წლის 1 ოქტომბრისა.

ცნობების მიღება შეიძლება სამეურნეო მატერიალურ სამსახურში ზემოდ აღნიშნული მისამართით ოთახი № 85 და 87 ყველა სამუშაო დღეებში 10-დან 14 საათამდე.

განცხადებებისათვის გადასახდელი უნდა იქნეს სადღიდო გადასახადი (2) ორი მანეთი.

1-1 ნ. 1382

ბაღი „არტისტი“ მელიქ. პრ. № 10ბ.

„მუსიკალური კომედიის“ თეატრი.

ახალი ამ სეზონში! **დღეს, პარასკევს, 26 ივნისს** **ახალი ამ სეზონში!**

ცნობილი პოპულარული ოპერეტა მეორეჯერ (დიდი ყურადღების მიპყრობის გამო)

„კოლომბინა“

მთავარ როლებში: ქ. ი. ქარასავინა, ალა ოლგარ, ა. ს. ტარსკი, მ. ლ. ქრასილმი, გ. ს. ტალგრინი.

ადგილების ფასები ორი აბაზიდან. თეატრის ბილეთის მყიდველი უფასოდ შედის ბაღში

ორშაბათს „ბოლშაია მაზურკა“-ს **დაწვრილებით აფიშებში** **ხვალ „ბაიადერკა“**

ნის. 1380. 1—1

ბაღი „არტისტი“ მელიქ. პრ. № 10ბ.

რუსეთის ელექტრონის ლამპა

„ე. ტ. ც. რ.“ (Э. Т. Ц. Р.)

ხარკოვის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტმა გასინჯვის დროს გამოარკვია, რომ ლამპა „ე. ტ. ც. რ.“ სჯობს უცხოეთის ლამპებს „ოსრამ“-ს და „ფერროვატ“-ს როგორც ხანგრძლივი გამძლეობით, ისე სინათლის გამვებით

იყიდება ბითუმად და ცალობით

ლამპები „ე. ტ. ც. რ.“ იყიდება:

„ე. ტ. ც. რ.“-ის განყოფილებაში—რუსთაველის პრ. № 19

„ე. ტ. ც. რ“-ის წარმომადგენლობებში:

ბათომში—ერთიან სამომხმარებლო საზოგადოება და „მუშკოოპი“
ქუთაისში—ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოება

5—3 ნ. 0887

დაიკარგა მედსანშრომის წიგნაკი აკ. ჭოჭუას სახელზე № 671. ჩ. გ. 1765 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა და აღრიცხვის ქაღალდი იასონ მაისაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ანნა მაისაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1767 1—1

დაიკარგა მეტრიკა არისტაზა გავრილოვას სახელზე № 1891. ჩ. გ. 1769 1—1

დაიკარგა დამზღვევი კასის წიგნაკი № 1675 დიანოზ ბექუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1772 1—1

დაიკარგა ტეხნიკუმის დამთავრების მოწმობა იულია გაფრინდაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1774 1—1

დაიკარგა საწევრო წიგნაკი № 1263, გაცემული თბილისის მწატყის კავშირის მიერ ბაგრატ ქვანის სახელზე. ჩ. გ. 1778

დაიკარგა სამხედრო სარეგისტრაციო ბარათი № 219 სამსახურის მოხდის შესახებ იოსებ იაგორის ძე ტოროზოვის სახელზე. ჩ. გ. 1-1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 94 რაჟდენ გაიოზის ძე ძიმისტარაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1777 1—1

დაიკარგა წიგნაკი წითელარმიელის № 636 იაკობ ელიზბარაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1775 1—1

დაიკარგა ლომბარდის ქვითრები №№ 18918, 19390, 20420, პასპორტი № 3700 და ჯარის წრის ქაღალდი ელისაბედი საქარიას ასულ ბოგვერაძის სახელზე. ჩ. გ. 1776 1—1

დაიკარგა ბეჭედი ზედწარწერით: „მთავარი გამგეობა ელექ. მექ. შრ. წარ. ნადი „არსმენილ ხელოვნება“, „Центр. прав. электр.-мех. произв. артели „Арменияя хеловнеба“ ბეჭედი ჩაითვალოს გაუქმებულად. ჩაითვალოს აგრეთვე გაუქმებულად ხსენებულ ბეჭედით გაცემული ყველა საბუთები, მოწმობები და სხვა.

1764 1—1 მთავარი გამგეობა.

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4